№ 3017
პარასკევი,
3 მარტი

ცნობის ფურცელი

№ 3017
პარასკევი,
3 მარტი

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—15 კ., მეოთხე—10კ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1906

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Моамбе". ტელეფონი № 372

1906 წელს „ცნობის ფურცელი" სურათებიანი დამატებით

გამოვა იმავე პროგრამით, ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა და დიდი უქმეების შემდეგ. დაახლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გაზეთის ფორმატი გადიდებული იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბარებულია განსაკუთრებული მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა და ქაღალდი. ქაღალდი უკვე მოვიდა, ხოლო მანქანა გზაშია.

ფასი გაზეთისა:

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაგზავნით ერთის წლით 6 მან. ერთის თვით 50 კაპ.

საზღვარ-გარედ გაგზავნით ერთის წლით 11 მან. ერთის თვით 1 მან.

გაზეთის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ სურათებიანი დამატება

დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა მუდმივ თანამშრომლისა ხატვარ ოსკარ შმერლინგისა და კოგიაშვილისა, მხატვრები გრინევსკი, ბერიძე და როტტერი. „ცნობის ფურცლის" წლიურ ხელისმომწერთ ერთის მანეთის დამატებით გაეგზავნებათ იუმორისტული ჟურნალი „ნაპერწკალი".

ადრესი: Тифлисъ. редакція „Цнобисъ Пурцели".

5 მარტიდან გამოვა ახალი
ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„განთიადი"

ამ წლის დამლევამდის გაზეთი ღირს ტფილისში დატარებით და სხვა ქალაქებში გაგზავნით 5 მან., ერთის თვით—50 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ.

გაზეთი „განთიადი" გაეგზავნება „სხივის" ხელის მომწერთაც.

რედაქცია იმყოფება ველიკოკნიაჟევსკაია ქუჩაზე, № 17.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, редакція „Гантіади".

(3—უ—2) რედაქტორ-გამომცემელი თ. კიკვიძე.

ტფილისის ვაჭართა მამასახლისი და მისი ამხანაგი

სთხოვენ 3-ნთ ტფილისის ვაჭრებს, რომელთაც წოდებრივი მოწმობანი აქვთ, მობრძანდნენ

წლიურ საზოგადო კრებაზე

(მეორედ), რომელიც მოხდება კვირას, 5 მარტს, დილის 11 საათზე, ვაჭართა მამასახლისის კამერაში (ლერმონტოვის 16). (1—90—1)

---

1 მარტს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დარია დავითის ასული

ჭიჭინაძისა,

რასაც განსვენებულის ქალი ოლგა ნიკოლოზის ასული ტიმოფეევისა თავისი ქმრით და შვილებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ. პანაშვიდი გადახდილი იქნება 3 მარტს, საღამოს 7 საათზე, ელისაბედის ქუჩა № 128; მიცვალებულის გვამის გასვენება დანიშნულია 4 მარტს დილის 9½ საათზე, კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაზე. (1—88—1)

კნეინა სოფიო ლუარსაბის ასული ჭავჭავაძისა შვილებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 4 მარტს გადახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

თავად დავით რომანის ძის ჭავჭავაძის

სულის მოსახსენებლად ქ. თელავის სობოროში. (1—87—1)

ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 28 თებერვალს, დილის 10 საათზე, გარდაიცვალა 74 წლის

ზაალ ბორისის ძე ბუჭყიაშვილი

პანაშვიდი საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა შაბათს დილით. (2—1)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(დაარსებულია 1880 წელს)
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთა მიღება ყოველდღე, კვირეების გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი,

ჟ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალთა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისისა, ვენერიული და ქირურგიული ავადმყოფობანი.

ძ. ი. ბელიშვილი: 12—1 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი.

ა. გ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვის ავადმყოფობანი.

ა. ი. ტერბინინა: 1½—2 ს. საბებიო და ქალთა ავადმყოფობანი.

ბ. ი. ხურგენოვი: 1—2 ს. ქალისა და საბებიო ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ა. მ. პუგინოვი: 5—6 ს. შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობანი და ყვავილის აცრა.

ნ. ჰ. აბიანცი: 6—7 ს. შინაგან ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი: 7—7½ ს.

რჩევა-დარიგების ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისთვის მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана Тифлисъ, противъ памятника Воронцова. (წლ.)

ქ. ქუთაისში
ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
იღებს ავადმყოფებს (ყური, ყელი, ცხვირი და შინაგანი სნეულებანი), პუშკინის ქუჩა, სახლი გოკიელისა. (15—კვ.—13)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზისა (№ 14) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეებით 10—12 მდის.

ექიმი
მ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—11½ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს. კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 12, სახლი ხვანიშვილისა.

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში
მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.
მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი

მ. ზ. ალაჯანოვი. 1—2 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ტყავის ავადმყოფობანი.

ი. ნ. მზიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი ელექტრონით წამლობა.

მ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

მ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.

ი. ი. ავეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

მ. ჰ. კიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.

მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.

ბ. ა. ზეიდერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—47)

მედიცინის დოქტორი
გრიგოლ იოსების ძე გურგენოვი,
რომელიც ხარკოვის უნივერსიტეტის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკის შტატის ორდინატორად იყო, იღებს საბებიო და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს. ავადმყოფები მიიღება: დილით 10-დან 12-მდე; საღამოთი 5-დან 7 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა, საარტისტო საზოგადოების პირდაპირ. (30—53—14)

ფოთის სამარხ კასისა

გამგეობა აუწყებს კასსის წევრთ, რომ კვირას, 5 მარტს, ნაშუადღევის 3 საათისთვის ფოთის ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია **მორიგი საზოგადო კრება** კასსის წევრებისა. კრებამ უნდა განიხილოს 1905 წლის ანგარიში, აარჩიოს თანამდებობის კაცნი და გადასწყვიტოს გამგეობის წევრთა დაჯილდოვების საქმე. (3—5.—1)

ტფილისი, 3 მარტი.

ბიუროკრატიისაგან განებივრებული, გახრწნილი, გაუკულმართებული ბუნება საზოგადოების სქელ-ჯიბიან და დიდ-მუცლიან წრეებისა ისე არაფერს არ აფასებს, ისე არაფრის მოყვარული არ არის, როგორც გულის სიღრმეში ჩამარხულ ამყაყებულის ბოროტების დამმალავ გარეგნობისა. რუსეთის ბიუროკრატიის პირმშო შვილს—რუსეთის მსუქანს მოქალაქეს ისე არაფერი არ უყვარს, როგორც გარეგანი ბრწყინვალება, რომლის მოელვარე სხივებიც თვალს აბრმავებენ და ხელს უშლიან დაინახოს ამ ბრწყინვალე ქერქის ქვეშ მყოფი აშმორებული ტბა. ამ მოქალაქისთვის უდიდესი დღესასწაული სწორედ მაშინ არის, როდესაც გულში ჩახვეულ გარყვნილების გარეგან ზეწრად გულახდილობა ჰხდება და ამ გვარად თითქოს მთელი ქვეყნის თვალში ისპობა განსხვავება გარეგნობისა და შინაგანის შინაარსისა.

სწორედ ასეთის, ბიუროკრატიისაგან გაუკულმართებულ ბუნების თვისებებით შეგვიძლიან ავხსნათ ჩვენ ის დაუჯერებელი ამბავი, რომ ამ ჟამად მთლად ამიერ-კავკასიის ეგრეთ წოდებული „მოწინავე წრეები" ინტელიგენციის მეთაურობით მუხლ მოდრეკილი უკმევენ გუნდრუკს სომეხ-თათართა „სამშვიდობო კონფერენციას", აღტაცებულნი გუშინდელ მოსისხლე მტრების დღევანდელ გულახდილობით და სიხარულით ცას ეწევიან, თუმცა ამავე ამიერ-კავკასიაში გამძვინვარებული რეაქცია სწორედ დღეს ახდენს ისეთს საგანგებო ექსპერიმენტებს, რომელთა სიმკაცრე და სიმხეცე ფერფლად ქცეულ ისტორიულ მტარვალებსაც კი შურს გაუღვიძებს. გუშინდელი ერთი მეორის გაალმასებული მტრები დღეს თითქო საპარლამენტო სიდინჯით გამოქვაულნი სხედან ერთად ადგილობრივ მთავრობის წინაშე და თითქო გულწრფელად სთხოვენ მას მომრიგებელ შუამავლობას. აბა გაბედეთ და ეჭვი მიიტანეთ ამ გულწრფელობაზე!—ხვალვე ხალხის მტრად გამოგაცხადებენ, პროვოკატორობას დაგწამებენ, მტრობის მთესავს გიწოდებენ, ავაზაკის ბოძზე მიგაკრავენ. დიახ, ეს აუცილებლად მოჰყვება ჩვენს სიტყვებს, მაგრამ ჩვენ მაინც ვიტყვით, ხმა მაღლა ვიტყვით, რომ სტყუიან, მხოლოდ გულწრფელობის კომედიას თამაშობენ, მხოლოდ თვალთმაქცობის ვოდევილს გვაცქერინებენ და, ვინ იცის, იქნება ამ სიყალბით უფრო უარეს, უფრო საშინელს სისხლის ღვრას და ომს ამზადებენ, ვიდრე გასულს წელს გამოსცადა ბეჩავმა და ბედკრულმა სომხის და თათრის მშრომელმა ხალხმა.

„გულახდილად" მოსაუბრე სომხის და თათრის მაღალმა დელეგატებმა „სამშვიდობო კონფერენციის" პირველს კრებებზედვე გამოარკვიეს მთავრობის წინაშე, რომ თათრები ემტერებიან სომხებს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ უკანასკნელთ შეჰქმნეს პარტია „დაშნაკცუტუნი" თათრებთან საბრძოლველად; გამოარკვიეს აგრეთვე, რომ თათრები სცდებიან, რადგან სომხეთა პარტია „დაშნაკცუტუნი" კავკასიელ თათრებთან ომისთვის არ არსებობს; გამოარკვიეს დასასრულ, რომ თათრები ბიუროკრატიის პროვოკაციამ შეაცდინა და ამ გვარად ერთად ერთი მიზეზი შეტაკებისა მთავრობის პროვოკაციაა და სხვა არაფერი. „სამშვიდობო კონფერენციის" კრება, რომელზედაც საბოლოოდ დაასკვნეს სომხის და თათრის ხალხის განათლებულმა იდეოლოგებმა ეს აზრი, ისეთ გულახდილობის ზეწარში გაახვიეს, რომ გულუბრყვილო ადამიანს ეგონებოდა, ყველაფერი მორჩა, გათავდა, მაცდური ეშმაკი სამუდამოდ სძლია სიკეთის ანგელოზმაო.

თუ მართლა სომეხ-თათართა შეტაკების მიზეზი მთავრობის პროვოკაციაა, აქედან ლოღიკურის აუცილებლობით გამომდინარეობს დასკვნა, რომ მშვიდობიანობის მოტრფიალე სომხის და თათრის დელეგატებს, ორთავეს ერთად უნდა შეექციათ ზურგი მთავრობისთვის, ორივენი ერთად უნდა განშორებოდნენ იმის წარმომადგენლებს და მთავრობასთან ორთავეს ერთად უნდა გაეწიათ ამის შემდეგ სოლიდარული ბრძოლა. ეს ჭეშმარიტი და ბუნებრივი ნაყოფი იქნებოდა გულახდილად აღიარებულ შეტაკების მიზეზისა, ეს ერთად ერთი ჭეშმარიტი პრაქტიკული ნაბიჯი იქნებოდა იმ მიზეზის მოსასპობად, რომელმაც ამოდენა სისხლი დააქცია და ამოდენა სიმდიდრე შთანთქა. ამისდა მიუხედავად, არც თათრის, არც სომხის დელეგატებს, არც „საზოგადოებას" და არც პრესსას, არავის აზრადაც-კი არ მოსვლია ასეთ ტაქტიკის წამოყენება. პირიქით, სწორედ ამასთანავე ერთად დაიწყო ურცხვი ვაჭრობა ორთავე მხრის დელეგატებისა იმის შესახებ, თუ რა ერთგული მონაა რუსის მთავრობისა თათრის ხალხი და რა საწყალობლად იბრძვის სომხის ხალხი „დაშნაკცუტუნის" პარტიითურთ „რუსულ საქმისთვის" ამიერ კავკასიაში უმაღლეს მთავრობასთან ერთად.

იქნება ამ უცნაურ „სამშვიდობო კონფერენციის" უცნაურად გულახდილმა წევრებმა იფიქრეს, რომ შარშან, როცა მთავრობა პროვოკატორობდა და სომხებსა და თათრებს ერთმანეთზე აგეშებდა, სხვა პოლიტიკას მისდევდნენ მმართველობის წრეები, და ეხლა კი იგივე მთავრობა ხალხის ერთგულ მეგობრად გადაიქცა და, მაშასადამე, მომავალში ძველს პოლიტიკაზე სრულიად ხელს აიღებს? იქნება იფიქრეს—ყველაფერი შესაძლებელია! მაგრამ ის კი ცხადია, რომ სომხის დელეგატებს ძალიან კარგად სცოდნიათ, რას სჩადის ამ ჟამად ჩვენი ბიუროკრატია გენერალ ალიხანოვის ხელით ქუთაისის გუბერნიაში, რომლის საგმირო საქმეთა განმეორებასაც გულმხურვალედ სთხოვს ცნობილი ორატორი ა. ხატისოვი თავის „სამშვიდობო" ამხანაგებითურთ აღმოსავლეთ კავკასიაში. დიახ, იქნება იფიქრეს, მაგრამ ცხადია, რომ „პრაქტიკულ" სომხებს და „გულწრფელ" თათრებს, ორთავეს კარგად ესმით, რომ ეს ფიქრი ყალბია, ყალბ ნიადაგზეა აღმოცენებული და ყალბის გრძნობებით არის შეზავებული.

სომხის და თათრის დელეგატებმა პირველს კრებაზედვე ერთი და იგივე ტაქტიკა აირჩიეს. თავიდანვე ორთავე მხარემ გულწრფელობა გაიხადა ბრძოლის იარაღად, ყოვლის უწინარეს საერთო მეცადინეობით დაარწმუნეს სომხებმა და თათრებმა მთავრობა, რომ გულწრფელობა აუცილებელი პირობაა შერიგებისთვის და აქედან გამოიყვანეს ის დასკვნა, რომ იგი სომეხ-თათართა ომიანობის დროს იმ მხარეს უნდა ეხმარებოდეს, რომელიც უფრო გულწრფელია, რომელსაც უფრო გულწრფელად სწყურიან მშვიდობის ჩამოგდება. საზოგადოების აზრი და პრესსა თავით ფეხამდე მოიხიბლა დელეგატების „გულწრფელობით" და მთავრობასთან ერთად გადასწყვიტა, იმ მხარეს მისცეს თავისი თანაგრძნობა, რომელიც სომეხ-თათართა კრებებზე ზნეობრივად გაიმარჯვებს, ე. ი. თავის მოწინააღმდეგეს გულჩახვეულობას დაუმტკიცებს და გულწრფელობაში ჩასჭრის. სომხისა და თათრის დელეგატებს კარგად ესმით ეს მდგომარეობა და მთავრობის და საზოგადოების წინაში გულმოდგინებით მეცადინეობენ, თავის მოპირდაპირეზე უმჯობესად გაადევნონ ბოლო საერთო თანხმობით დაწყებულ გულწრფელობის კომედიას. როგორც გაკვრით აღვნიშნეთ ზემოდ, საქმე უკვე იქამდე მივიდა, რომ აზიურის ურცხვობით ქებათა-ქებას ასხამენ ამიერ-კავკასიის ადმინისტრაციის უსასტიკესს და უუსამართლო მოღვაწეობას, დეპეშებით აცხადებენ სომეხ-თათართა ბრძოლის ერთ ადგილიდან სურვილს, რომ მთავრობის სამხედრო ექსპედიციას ერთის მეთაურისადმი მცხოვრებნი სრულის ნდობით უცქერიან და სხვა.

ჩვენ გულმხურვალე მომხრე ვართ მშვიდობიანობის ჩამოგდებისა და სწორედ ამიტომ ვამხელთ „სამშვიდობო კონფერენციის" სიყალბეს.

ყალბი „კონფერენციები" უძლურნი არიან მშვიდობა ჩამოაგდონ, მშვიდობას მხოლოდ ის ჩამოაგდებს, ვინც მართლა დაინტერესებულია კულტურულ და პოლიტიკურ განახლებით, ე. ი. მშრომელი ხალხი და არა ის ვაჟბატონები, რომლებიც ბიუროკრატიის წინაშე კომედიებს თამაშობენ.

დასავლეთ-საქართველოში

რაჭა. სრული ოთხი თვე რაჭა მოწყვეტილი იყო ყველა სხვა კუთხეს. ამ ოთხი თვის განმავლობაში არ მიგვიღია არც გაზეთი და არც რაიმე ცნობა, თუ რა ხდებოდა სხვაგან. 10 თებერვალს, როგორც იყო, ვეღირსეთ ფოსტის გახსნას. მაგრამ დღემდე სულ ძველ კორესპონდენციებს ვიღებთ.

იანვრის ბოლო რიცხვებში რაჭაში შემოვიდა ქუთაისიდან გამოგზავნილი რაზმი პოლკოვნიკ გავრილოვის უფროსობით. რაზმს თან ჰქონდა ზარბაზნები და ტყვია-მტყორცნელები. შემოსვლისათანავე პირველ საზოგადოებას—ხვანჭკარისას—სხვა მოთხოვნილებასთან ერთად მოსთხოვეს თავ. გრიგოლ ყიფიანის მკვლელები. ამ ორი წლის წინად თავ. გრიგოლ ჯიბიას ძე ყიფიანმა, ხვანჭკარაში მცხოვრებმა, უმიზეზოდ მოჰკლა მეზობელი გლეხი. ოლქის სასამართლომ გადაუწყვიტა ტუსაღთა რაზმი, ყიფიანმა განაჩენი განასაჩივრა და თვითონ თავდებობით გამოუშვეს. ყიფიანი გაუტანელი, შემაწუხებელი და დაუნდობელი კაცი იყო. იმის გამოშვებამ და მოქმედებამ აალელვა მთელი სოფელი. ყოველ დღეს ხმაურობდნენ, სამაგიეროს ვადაებოდათ. დაიწყო თუ არა მოძრაობა, სოფელმა მოინდომა მისი დაჭერა, მაგრამ მან დროებით ლეჩხუმს შეაფარა თავი.

საახალწლოდ ხელ-ახლა გაჩნდა რაჭაში, სოფელმა დაიჭირა და დანიშნა თავისი სასამართლო. მოწვეული იყო მთელი სამი საზოგადოება ხვანჭკარისა, ბუგეულისა და სადმელისა. თუმცა ზოგი შეგნებული უმტკიცებდა ხალხს კაცის სიკვდილით დასჯის უადგილობას, მაგრამ ყიფიანისაგან თავმობეზრებულმა დაადგინა მისი დახვრეტა, რაც სისრულეში მოიყვანეს 12 იანვარს. აი, ამ მკვლელობის მოთავეებს თხოულობდა პოლკოვნიკი გავრილოვი. ვადად 2 თებერვალი დაუნიშნა. მთელმა სოფელმა აღიარა მკვლელობა, ხოლო კერძოდ ვერავისზე მიუთითა. სასჯელად მთელ სოფელს წაუკიდეს ცეცხლი. გადაიწვა სულ 48 გლეხი თავის სახლ-კარით, მარნით, ბეღლით, ქალები და ბავშვები ტყეში გაიქცნენ და იმ ღამეს იქ გაათენეს. რაჭა სულ განათებული იყო იმ ღამეს.

ხვანჭკარის მაგალითით დაშინებული სოფლები გზა-გზა ხვდებოდნენ პოლკოვნიკს. ონი შეეგება პურ მარილით და შემოსილის მღვდლებით. პოლკოვნიკმა და ვიცე-გუბერნატორმა დადეშქელიანმა მოთხოვნილებანი წარუდგინეს ხალხს. რაჭველებმა შეასრულეს ეს მოთხოვნილებანი ამისდა მიუხედავად აქა-იქ რაჭაში რამდენიმე სახლი მაინც დასწვეს. თვით ონში, სადაც ჯარი დასტოვეს, დაიწვა სამი სახლი: გუგუნიძისა, ლუა ბერიშვილი და ლომჯანიძისა, ხოტევში—ჰუბაიძისა და გორდეზიანისა, ხოლო ნიკორწმინდაში—ორ კომლ კობახიძისა.

ქართლში

ზემო-ქართლი. მოსვენებას ვერ ვღირსებნით. ვიტყვით, ეს არის მივიშორეთ ყაზახები, აღარ მოვლენო და ვნახოთ, ხმა დავარდება, რომ კიდევ აპირებენ მოსვლას და ოხრებასაო. გადის რამდენიმე დღე, ხმა მართლდება და ნაქოფ სოფელში ხელმეორედ მოდიან. ამის წინად თვით მაზრის უფროსმა დაიარა ზემო ქართლის სოფლები ას ორმოცი ყაზახით და თუმცა დაწვით არსად არა დაუწვავთ რა, მაგრამ დაჭერა, ცემა-ტყეპა, ჯარიმების ვადახდევინება, ძარცვა, ხარჯის მიყენება და სხვა ბევრი მოხდა. როგორც იყო, გაიარეს და ცოტათ თავისუფლად ამოვისუნთქეთ. ვფიქრობდით, ამას იქით აღარ მოვლენ და ეს რაც იყო—იყოვო, მაგრამ იმედები გაგვიცრუვდა და კიდევ გვეწვივნენ ახლა სურამის ბოქაული აფიცრით და სოტნა ყაზახით. ეს წვევა ბევრით განსხვავდებოდა წინანდელისაგან სისასტიკით და ზარალით. დანდობა აღარავისია, აღარც მღვდლისა, აღარც ქალისა, აღარც ბავშვისა და აღარც მოხუცისა, ყველას განურჩევლად და განუკითხავად სცემენ და ამათრახებენ. სოფელს ავლევში დაპატიმრეს 26 თებერვალს მღვდელი მიხეილ ინასარიძე. მიზეზად ის დაასახელეს, რომ შობას დღეს წირვაზედ ხელმწიფე არ მოგიხსენებიაო.

სოფელს წაღვლს 26 თებერვალს ესტუმრნენ. მათი შემოსვლა და ხალხის, ქალებისა და ბავშვების გახიზვნა ერთი იყო. მოახდინეს ყრილობა, ვისაც-კი ან ჯოხი ეჭირა და ან პატარა სახრე, ჩამოართვეს, ალყა შემოარტყეს, მერე დაუწყეს ცემა, რომელიც მოხვდებოდათ, განურჩევლად ხნიერობისა, წააქცევდნენ, რამდენიმე ყაზახი ხელ-ფეხზედ დააწვებოდა, მაზარას წამოხდიდნენ და იმისავე სახრით ისე სცემდნენ, რომ მისი კვნესა ცასა სწვდებოდა. ამ სცენის მაყურებელ დანარჩენ გლეხობას შიშით კანკალი გაჰქონდა და ყველა მოელოდა გამათრახებას. გაალახა რამდენიმე. ერთი ოსი ისე გაილახა, რომ ცოცხალ-მკვდარი ძლივს აიღეს მიწიდან. მერე ბოქაულმა მოსთხოვა ხალხს, ეხლავე ოთხი რაზმის ბიჭი, ესა და ეს, უნდა წარმომიდგინოთ, თორემ სულ ამოგხოცავთო. ორი მათგანი, გელაშვილი და კილაძე, გამოცხადდნენ, მაგრამ ის დღე თქვენს მტერს დაადგეს, რაც დღე იმათ დაადგათ. ცემით რომ მოიღალნენ, მერე საბძელში

შეაგდეს დასამწყვდევად. როცა მიჰყავდათ, ერთს, გელაშვილს, მამა წამოეწია და იმანაც ორიოდე წაუთავაზა. ბოქაულმა იკითხა: ეს ვინღა სცემსო, და რომ გაიგო მამა იყო, ჯერ მადლობა გადაუხადა და მოუწონა ესეთი საქციელი, მაგრამ პატარა ხნის უკან ეს მამაც წააქცევინა და ისე სცემეს, რომ მიმკვდარებული ძლივს წამოაყენეს ფეხზედ. ბოქაულმა უთხრა: „ეხლა-კი არ უნდა სცემდე, წინად უნდა გეცემნა და ამ საზიზღარ საქმეს აღარ ჩაიდენდაო“. ხალხის ცემით რომ მობეზრდნენ და მოიღალნენ, ბოქაულმა ხალხს გამოუცხადა, მებატონეებს არ აჩივლებინოთ და ღალა ჩააბარეთ, თორემ უარეს დღეს დაგაყენებთო. ხალხიც შეჰპირდა ჩაბარებას. შემდეგ ამ სცენისა, ყაზახები მოედვნენ სახლებს... მოეფინენ მახლობელ სოფლებს: ტკოცს, ფლევს, ჩარჩანას და სხვა წვრიმალ სოფლებს... ხალხი შიშით და კანკალით, ვინც კი ასწრობდა, იხიზნებოდა აქეთ-იქით სხვა სოფლებში. პატარა ბავშვების ტირილი რომ გაგეგონათ, გული დაგეწვოდათ. ერთს სოფელს რომ შეაფარებდნენ საბრალონი თავს, გაიგებდნენ, რომ აქაც მოდიანო, და ახლა სხვაგან მორბოდნენ. აი წვალებაში და ვაივაგლახში ვართ დღეს ზემო ქართლელები. და აღარ ვიცით, რა ვქნათ და რა წყალს მივეცნეთ.

ამის წინად, შემოდგომაზე, ვიღაცამ მოჰკლა სოფელ კოდის მებატონე ილიკო თარხნიშვილი. ამის გამო ადმინისტრაციამ სოფლელებს დააკისრა ან მკვლელი ამოაჩინონ ან არა და თვითეულმა კომლმა ას-ასი მანეთი გადაიხადოს მოკლულის ცოლის სასარგებლოდ და შვიდი ათასი მანეთი ჯარიმად მთელმა სოფელმა ხაზინის სასარგებლოდ. ვადად პირველი მარტი დაედო. მოატანა მარტმაც და საცოდავი კოდელები დიდ შიშსა და კანკალში არიან, ვერ მოუხერხებიათ, რა ჰქნან, არ იციან მკვლელი და როგორ აღმოაჩინონ?! ყველა გაიხიზნა, სოფელი ცარიელია. ს. წაღვლიდან ბოქაული იქ აპირებდა პირველ მარტს მისვლას. გავიგებ ყველაფერს და გაცნობებთ.

ასეთ მდგომარეობაში ვართ ზემო ქართლელნი. აღარ ვიცით, რა ვქნათ და როგორ მოვიქცეთ? ვის მივმართოთ საშველად, ვინ არის ჩვენი პატრონი?! როდის ვეღირსებით, რომ პატარა თავისუფლად ამოვისუნთქოთ და შევუდგეთ მუშაობას.

ასეთ მოქმედებით, ყველა უბედურებასთან ერთად, ადმინისტრაცია ყაჩაღთა რიცხვსაც ამრავლებს: სდევნიან დიდ-ძალ ხალხს, ესენიც იძულებულნი არიან გარედ გავარდნენ და ყაჩაღობით ირჩინონ თავი. ამ ყაჩაღობით კი ხალხი, უიმისოდაც ღარიბ-ღატაკი ხალხი, ორნაირად ისჯება, ეგზეკუციით და ყაჩაღობით.

ს—გი

სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირი

სამხრეთის რაიონი.

(იხ. „ცნ. ფ.“ № 3009)

რუსეთში იმ მიწების ნახევარზედ ბევრად მეტი, რომელიც გლეხთა აქვთ, სათემო (ობშჩინა) მფლობელობაშია. ყოველ თემს აქვს განსაზღვრული რიცხვი სახნავ-სათიბისა და გლეხნი ამ მიწით საერთოდ სარგებლობენ. თემი, ოჯახის მუშათა რიცხვის მიხედვით, ჰყოფს მთლად თავის მიწას, გარდა საძოვრებისა და წყლის პირებისას. ასეთი განაწილება სათემო მიწებისა ხდება ყოველ 3—5 წელიწადში ერთხელ. რუსი ისე არის შეჩვეული ამგვარ მფლობელობას, რომ ძნელად შეეთვისება და შეეჩვევა ეხლა სხვაგვარ მფლობელობას.

მიწის სათემო მფლობელობა არც კი ჩვენთვის არის უცხო და ახალი. მთელი ქიზიყი და მთა ასევეა მოწყობილი. სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირის აზრით, მიწის სათემო მფლობელობა ახლო სდგას მიწის სოციალიზაციაზედ და ამ მფლობელობიდან ხალხს ადვილად და შეუმჩნევლად შეუძლიან გადასვლა, მთლად მიწის მშრომელთა ხელში გადაცემის შემდეგ, ხსენებულ ახალ ფორმაზედ.

სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირის სამხრეთის ბიურომ ამ საკითხს მეტად დიდი ყურადღება მიაქცია, რადგან ამ რაიონის გლეხთა მომეტებულ ნაწილს სათემო მფლობელობა არა აქვს. ბიურომ არ იცოდა, რა რიგად მოჰქცეოდა ამ გლეხებს, რადგან კავშირმა სასურველ მიწის მფლობელობის ტიპად აღიარა სათემო. ეს საკითხი შეიმუშავა მცირე კომიტეტმა და დაადგინა: იქ, სადაც ჯერ-ჯერობით ისევ კერძო მფლობელობას ამჯობინებენ გლეხები, დაიტოვოს იგივე ფორმა, ვიდრე შეიგნებენ გლეხნი საზოგადო მფლობელობის უპირატესობას; გლეხთა კავშირი წინააღმდეგია მშრომელ გლეხს ძალდატანებით მოახვიოს რამე კისერზედ.

მიწის გასაზოგადოება ხელსაყრელი მარტო მხვნელ-მთესველ გლეხისათვის არ არის. იგი ხელსაყრელია აგრეთვე ქალაქის, ქარხნების და მადნების მუშა გლეხებისთვის. გაუმჯობესობა მხვნელ-მთესველ გლეხის ცხოვრებისა გაუმჯობესებაა ქარხნების და მადნების მუშების ცხოვრებისა, რადგან ამ უკანასკნელთა მომეტებულ ნაწილს ამათგანთ ჯერაც არ შეუწყვეტია კავშირი სოფელთან; მუშა იძულებულია თავის მცირე შემოსავლიდან გაუზიაროს ერთი ნაწილი დედმამას და დამას სოფელში. გარდა ამისა, მხვნელ-მთესველთა ცხოვრების გაუმჯობესობა მოსპობს იმ კონკურენციას, რომელსაც მუშებს უწევენ მშიერ-ტიტველი გლეხნი ქალაქებსა, ქარხნებსა და მადნებში შემოსვლით, რაც, უეჭველია, ხელს შეუწყობს მუშათა კაპიტალთან ბრძოლის საქმეს. ზრდა გლეხთა კეთილდღეობისა მიწის გასაზოგადოებასთან ერთად, გააფართოვებს მათ მოთხოვნილებას, რაიც აგრეთვე ხელს შეუწყობს მუშათა საქმეს, რადგან მოთხოვნილების ზრდასთან ერთად აიწევს მრეწველობაც.

რადგან სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირმა ადგილობრივ ორგანიზაციებს სრული თვითმმართველობა მიანიჭა, სამხრეთის რაიონის ბიურომ, დელეგატთა კრების დადგენილების თანახმად, შეიმუშავა წესდების პროექტი, რომლის პირველ ნაწილსაც იქ მოვიყვან, დანარჩენის გაზიარებას კი დავტოვებ იმ დროსთვის, როდესაც რუსეთში განხორციელდება წერის ნამდვილი თავისუფლება.

რას ითხოვენ სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირის წევრნი

I. მიწის საქმეში:

1. მიწის კერძო მფლობელობის გაუქმებას და მთელ მიწის სახალხო საკუთრებად აღიარებას, ე. ი. არავის არ უნდა შეეძლოს ყიდვა და გაყიდვა მიწისა.

ა) სამონასტრო, საეკლესიო, საუფლისწულო, სახელმწიფო და კერძო მიწები უნდა გადაეცეს ხალხს უსასყიდლოდ.

ბ) დაწვრილებითი პირობანი მამულის მშრომელ ხალხის ხელში გადასვლისა უნდა შეიმუშაოს დამფუძნებელმა კრებამ, რომელიც, ხალხის სურვილის თანახმად, შეიმუშავებს აგრეთვე იმას, თუ რა მფლობელობის ფორმა მოეწყობა შემდეგში და შეადგენს ძირითად კანონებს მომავალ მთავრობისათვის.

2. მიწით უნდა ისარგებლოს მხოლოდ იმან, ვინც დაამუშავებს თავის საკუთარის ხელით.

II. ხალხის წარმომადგენლობის საქმეში:

დამფუძნებელ კრებას სრული უფლება ეძლევა მოაწყოს სახელმწიფო წესწყობილება, ჩვენ მხოლოდ ვთხოულობთ, რომ ეს კრება შეიკრიბოს საყოველთაო, პირდაპირის, სწორის და ფარულის არჩევნებით, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა.

III. პირად უფლებების საქმეში:

1. რათა არჩევნები მოხდეს სწორედ, ჩვენ ვთხოულობთ დაუყოვნებლივ განხორციელდეს სინიდისის, სიტყვის, ბეჭვდის, კრების, კავშირის და გაფიცვის თავისუფლებანი; განხორციელდეს აგრეთვე ხელშეუხებლობა ბინისა, პიროვნებისა. გამოცხადდეს სრული ამნისტია პოლიტიკურ, ეკონომიურ და აგრარულ საქმეების გამო დაპატიმრებულთათვის.

IV. სწავლა-განათლების საქმეში:

1. პირველ დაწყებითი სწავლა უნდა იყოს საყოველთაო, სავალდებულო და სახელმწიფოს ხარჯით, არა უმთავრეს 5 წლის კურსისა, თანაბრად ქალისა და ვაჟთათვის.

2. სასწავლებლები საერთო უნდა იყოს და სწავლა უსათუოდ სამშობლო ენაზე სწარმოებდეს.

3. დაბალ, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში ისე უნდა მოეწყოს სწავლა, რომ შეეძლებოდეს ერთიდან მეორეში გადასვლა.

V. ადგილობრივ მართვა-გამგეობის საქმეში:

1. იმათ, ვინც ადგილობრივ სამმართველოში უნდა შევიდნენ, ირჩევს ხალხი; შეიძლება არჩეულ იქმნას ყველა, 20 წლისაზე არა უმცირესი, განურჩევლად სარწმუნოებისა, ეროვნების, და სქესისა და მიუხედავად ყოველ ცენზისა.

2. ყოველი ზრუნვა ადგილობრივ თვითმმართველობაზე ედება ადგილობრივ სამმართველოს, რომელსაც ევალება აგრეთვე ადმინისტრატიული საქმეებიც.

IV. სასამართლოების საქმეში:

1. სასამართლო, როგორც სხვა დაწესებულებანი, უნდა მოეწყოს საარჩევნო წესით. სასამართლოში დიდი ადგილი დაეთმობათ ნაფიც მსაჯულებს მსაჯულები არჩეულ უნდა იქმნენ განსაზღვრულ დროსთვის.

ობოლი

ახალი ამბავი

◆ **კიდევ სამხედრო წესები.** ნამესტნიკის განკარგულებით სამხედრო წესები სოხუმის ოლქშიაც შემოიღეს. ეს ოლქიც ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს ალიხანოვს დაუქვემდებარეს. ეხლა მთელ ამიერ-კავკასიაში დარჩა მხოლოდ ყარსის ოლქი, სადაც სამხედრო და საალყო წესები არ არის.

◆ **„ცნ. ფურცლის“ წინააღმდეგ.** როგორც „კავ. უტრო“-ს ატყობინებენ, გურიაში მყოფ ჯარის უფროსს პოლკ. კრილოვს შუამდგომლობა აღუძრავს ტფ. გენერალ-გუბერნატორის წინაშე, აუკრძალოს „ცნობის ფურცელს“ „ისეთ“ წერილების ბეჭდვა, რომელიც გურიის მცხოვრებთ აღელვებს“-ო. ღალოცვილ კრილოვს რაღა შუამდგომლობა უნდოდა: განა უამისოდ-კი გამოეპარება რამე ტფ. გენერალ-გუბერნატორს?!..

◆ **ახალი გაზეთი.** შაბათს, 4 მარტს, გამოვა ახალი გაზეთი „სოვრემენნიკ“-ი, რომელიც დაურიგდება „ვოზროჟდენიე“-ს ხელის მომწერთ. ახალი გაზეთი ნაფიც ვექილის ა. ი. ყ ნჩელის რედაქტორობით გამოვა.

◆ **ჯარში ახლად გაწვეულთა გაგზავნა.** 25 და 26 თებერვალს ბათუმიდან რუსეთში გემით გაიგზავნენ ჯარში ახლად გაწვეულნი: სენაკის მაზრიდან—139 კაცი, თელავის მაზრიდან—82 კაცი, სხვა და სხვა ადგილებიდან 130 კაცი. წინად გაიგზავნა ქუთაისის გუბერნიიდან—330 კაცი.

◆ **ამიერ-კავკასიის რკინის გზა.** პეტერბურგიდან მიღებულ ოფიციალურ ცნობის თანახმად, გზათა სამინისტრო ამიერ კავკასიის რკინის გზას არ უთმობს სამხედრო უწყებას.

◆ **ყუმბარების აღმოჩენა.** გუშინ, 2 მარტს, დიდუბეში, ძველი სახლის დანგრევის დროს აღმოაჩინეს რამდენიმე ყუმბარა.

◆ **სასწავლებლის დახურვა.** ბაქოს გენერალ-გუბერნატორმა მოახსენა ნამესტნიკს, რომ 1 მარტს დავხურე ბაქოს სახელოსნო სასწავლებელი, რადგან მოწაფეთ მოითხოვეს დირექტორის დათხოვნა და სხვა ამგვარი რამესიო.

◆ **მარგანეცის მუშები.** მარგანეცის მრეწველთ ფოთში ვერ მოაწყეს საქმე მუშებთან. მუშები უარს ამბობენ კვირაობით მუშაობაზე.

◆ **ბერების თხოვნის შეწყნარება.** ნამესტნიკს შეუწყნარებია ახალ-ათონის მონასტრის რუსს ბერებს შუამდგომლობა 100 ბერდანის მიცემის შესახებ.

◆ **გამასწორებელი ახალშენი.** მცირეწლოვან დამნაშავეთა ახალშენი ავჭალაში, რომელიც ამ ჟამად დახურულია, ისევ იღება. ახალშენის დირექტორად ინიშნება ისევ ძველი დირექტორი ბ ნი ივ. მაღალაშვილი.

◆ **თავად-აზნაურთა საგანგებო კრება.** 9 მარტს დანიშნულია თავად-აზნაურთა საგანგებო კრება. კრებამ უნდა აირჩიოს ორი ამომრჩეველი, რომელნიც მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო საბჭოს წევრების არჩევაში თავად-აზნაურთა მხრივ.

◆ **ამომრჩეველთა სიები.** სახაზინო პალატამ გამოუგზავნა ქალაქის გამგეობას სიები იმ პენსიონერებისა, რომელთაც უფლება აქვთ სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობის მიღებისა. სულ ასეთი 1282 პენსიონერია. პალატა ამ ჟამად ადგენს იმათ სიებს, ვინც სამრეწველო გადასახადს იხდის და მდგმურების სიასაც. ზაქათალის ოლქისათვის სიები უკვე დაამზადა.

◆ **მშობლების დადგენილება.** ვაჟთა მეორე გიმნაზიის მოსწავლეთა მშობლების დადგენილება იმის შესახებ, რომ საკონკურსო ეგზამენები აღარ იყოს მოსამზადებელ კლასებში შესვლის დროს, ოლქის მზრუნველმა თავის შენიშვნებით განსახილველად გადასცა მეორე გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭოს.

◆ **მავთულის მიღება.** ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსმა მიიღო საკმაო მავთული ტელეფონებისათვის.

ფელეტონი

„ძენი მზისანი“

(პიესა მაქსიმ გორკისა)

კაცობრიობის ცხოვრება იმ თავითვე, როდესაც-კი ცნობიერების ელფერი მიეცა, წინააღმდეგობაზედ აიგო. პირველად სუსტი, წინააღმდეგობა თანდათან ღრმავდებოდა, ნათლდებოდა და დღეს სდგას ჩვენ წინაშე თავის მრისხანე სახით. კაცობრიობის ცხოვრებას არ ახსოვს მხოლოდ სინათლე, ან მხოლოდ სიბნელე. სადაც სინათლე იყო, იქ უთუოდ სიბნელეც არსებობდა. როგორც ღამე და დღე ისინი განუყრელი ძმები იყვნენ. ცხოვრების ტრაგედია დაფარულია ამ ძმობაზედ, იგია იმისი ბედითი დაწყევლა. ათასი კეთილშობილი გონება ალევს თავის ძალღონეს წინააღმდეგობის მოსპობას, ათასი კეთილშობილი გული იგმირება იმის შესასუსტებლად, მაგრამ ვერ იქნა, კაცობრიობამ ვერ დააღწია თავი საშინელ დაწყევლას და ჯერაც გადაჭრით არავინ იცის, დადგება თუ არა ისეთი დრო, როცა კაცობრიობა განთავისუფლდება იმისგან. საკვირველია, კაცობრიობა ებრძვის თავის ცხოვრების წინააღმდეგობას, რადგან გრძნობს იმის უსამართლობას, ებრძვის დასაბამიდანვე.

ვინ შექმნა ეს წინააღმდეგობა? ვინ დასწყევლა საუკუნოდ კაცობრიობა? თვითვე კაცობრიობამ? ეს შეუძლებელია: ეს ხომ ნებითი სატანჯველის შექმნა იქნებოდა. არა, წინააღმდეგობა დაყოლილია ცხოვრებასთან, მასთან დაბადებული და განუყრელი თვისებაა. კაცობრიობის ცხოვრება იქნებოდა ერთფეროვანი, იდგებოდა ერთ დონეზედ, რომ ბრძენ ბუნებას არ შეექმნა ძლიერი სტიმული ცხოვრების მრავალფეროვანებისა და დაუდგრომელ მიმდინარეობისა. ეს სტიმულია ბრძოლა, რომელიც აუცილებლად იგულისხმებს წინააღმდეგობას. ამიტომ დაწყევლილი წინააღმდეგობა კაცობრიობის ცხოვრებაში გახდა ერთსა და იმავე დროს ბოროტებადაც და სიკეთედაც. მართალს ამბობდა ეშმაკი მეფისტოფელი, როცა თავის თავს ეძახდა „ნაწილად იმ დიდი ძალისა, რომელიც ბოროტებისკენ მისწრაფვით ჰქმნის კეთილს“. ცხოვრება—საშინელი შენობაა. იმისი საფუძველი—ერთის უბედურებაა, კედლები-კი—მეორის ბედნიერება. ცხოვრების შვილნი ორ ჯგუფად დაყოფილან: ძენი მზისანი და ძენი მიწისანი. პირველთ წილად ხვდათ სინათლე და სითბო მზისა, მეორეთ—სიბნელე და სიცივე მიწისა. ასეთია სურათი უკუღმართ ცხოვრებისა. ახალი პიესა მაქსიმ გორკისა შლის ჩვენ თვალ-წინ ამ სურათს, გვიყენებს ბედით საკითხს: სად არის ხსნა, და იძლევა შეძლებისადაგვარ პასუხს.

ხიმიკოსი პროტასოვი—მზის ძეა. დედამიწაზედ სცხოვრობს, მაგრამ დედა-მიწისა არაფერი ესმის, თითქოს იგი სულაც არ არსებობსო. იგი ჩაფლულია თავის ხიმიკურ გამოცდებში და არ ესმის დედა-მიწის ხმა. იმისთვის დედა-მიწა მხოლოდ საიდუმლოების მასალაა, რომელიც უნდა გამოიკვლიოს, ახსნას, თავის გონებას დაუმორჩილოს. ამ მასალიდან პროტასოვის ყურადღება მიუპყრია მხოლოდ მკვდარ ბუნებას, ცოცხალი იმისათვის არ არსებობს. „კარგი, ბებერო, დამეხსენ! შენა გგონია, რომ ჩემი მოვალეობაა მთელი დღე ვიარო და ყველას ჩავჩიჩინო: ეს კარგია, ეს ცუდია. შეიგნე, რომ ეს ჩემი საქმე არ არის“,—ეუბნება უკმაყოფილებით პროტასოვი ძიძას, რომელიც ჩააცივდა, ოსტატ ეგორი დაერიგებინა, რომ ცოლისთვის არ ეცემა. პროტასოვის საქმე სხვაა. „ყველაფერი სცხოვრობს, ყველგან სიცოცხლეა. ყველგან საიდუმლოებაა. არსებობის საკვირველი, ღრმა ამოცანების ქვეყნიერებაში ცხოვრება, შენი ტვინის ძალის დახარჯვა ამ ამოცანების გამოსაცნობად,—აი ნამდვილი ადამიანური ცხოვრება, აი სად არის დაუშრეტელი წყარო ბედნიერებისა და ცხოველ-მყოფელ სიხარულისა“. პროტასოვიც მხოლოდ ღრმა ამოცანების ალნაში ატარებს თავის სიცოცხლეს და ჯავრობს, როცა „რაღაცა სულელური წვრილმანები“ შემოერევა და ხელს უშლის იმის მუშაობას.

რას ეძახის პროტასოვი წვრილმანებს. სხვა ადამიანის ცხოვრებას, იმის ტანჯვა-ვაებას. იმისთვის წვრილმანია ეგორის, რომელიც გამოცდისათვის იარაღს უკეთებს, შინაური ცხოვრება, ალსავსე ტრაგიზმით. იმისთვის არაფერია, რომ ეგორი უმოწყალოდ, შეუბრალებლად სცემს თავის ცოლს: ეს ხელს უშლის იმის „ციანის სიმჟავეზე მოხდენილ რთულ გამოცდას“. ის ძეა მზისა, ეგორი კი შვილია დედა-მიწისა. რა აქვთ საერთო? პროტასოვი არა ჰხედავს უფსკრულს, რომელიც გათხრილია იმისა და ეგორის შორის. პროტასოვს ვერ გაუგია, ვერა ჰხედავს, რომ „დედა-მიწაზე, როგორც ამბობს იმისი და ლიზა, გროვდება მწუხარება, იზრდება გულ-ქვაობა“. ხიმიკოსს, მიწას დაშორებულს, ვერ შეუგნია, რისთვის შეუძლიანთ იგრძნონ მისდამი სიძულვილი. იგი დარწმუნებულია, რომ ის და იმისთანა სხვები აკეთებენ დიდს და მნიშვნელოვან საქმეს: ცხოვრებას ამდიდრებენ მშვენიერებით, იკვლევენ იმის საიდუმლოებას. „მე ვხედავ,—ამბობს აღფრთოვანებული პროტასოვი,—როგორ იზრდება და ვითარდება ცხოვრება, როგორ უთმობს ჩემ დაუდგრომელ მკვლევარ აზრს და მიშლის თვალ წინ თავის ღრმა, საკვირველ საიდუმლოებათ. ვგრძნობ ჩემ თავს ბევრ რამის მეუფედ; მე ვიცი, რომ ადამიანი ყველაფრის მეუფედ გადაიქცევა. ყველაფერი, რაც კი იზრდება, რთულდება; ადამიანები უფრო მეტსა და მეტს მოსთხოვენ ცხოვრებასა და თავის თავს. ოდესღაც მზის სხივის მოხვებით იფეთქა სიცოცხლემ ცვილის უგარეგნო და უმნიშვნელო ნაწილში, გამრავლდა, გარდაიქმნა არწივად, ლომად და ადამიანად; დადგება დრო,—ჩვენგან, ადამიანებისაგან, ყველა ადამიანებისაგან, შეიქმნება დიდებული, მწყობრი ორგანიზმი—კაცობრიობა. დიახ, ბატონებო, კაცობრიობა. ყოველ იმის უჯრას ექნება მაშინ წარსული, სავსე აზრის დიდებულ შემოხვეჭილით—ჩვენის ნამუშავრით. აწმყო—თავისუფალი, ამხანაგური შრომაა შრომის დატკბობისათვის, და მომავალი,—მე ვგრძნობ, მე ვხედავ, მშვენიერი იქნება. კაცობრიობა იზრდება, მწიფდება. აი სიცოცხლე, აი იმისი დედააზრი.“

წარმტაცი სურათი მომავლისა, აწმყო, სავსე სიტკბოების მომცემ შრომით, აშორებს სრულიად კეთილ პროტასოვს ნამდვილ ცხოვრებას, და იმის საკუთარ ცხოვრების სინათლე თვალიდან მალავს სხვის ბნელ ცხოვრებას, თუმცა იგი იმის ახლოს კვნესის. პროტასოვის ცხოვრება იმიტომ არის მომხიბლავი, სიამოვნებით ალსავსე, რომ ყურს არ ათხოვებს სხვის ცხოვრებას. მომავლისათვის დაუღალავი მუშაკი—უკიდურესი ეგოისტია. სამართლიანად უსაყვედურებს პროტასოვს და, სრულის უფლებით არღვევს ძმის ოცნებას, როცა უხატავს ერთის მხრივ ელვარე ცხოვრებას, მეორეს მხრივ წყვდიადით მოცულს. „არწივი ცაში მიფრინავს, ძლიერნი ფრთანი ელვარებს... მეც, მეც მსურს მასთან ერთად ცაში დაფრენა. მსურს, მაგრამ ფუჭია ჩემი ოცნება. მე ქალი ვარ მწუხარე დედა-მიწისა, დიდი ხანია ვათრევ ჩემი სულის ფრთებს ტალახსა და მტვერში... მიყვარს თქვენი გამბედავი კამათი და ბრწყინვალე ოცნებანი. მაგრამ მე ვნახე ბნელი სოროები; იქ სცხოვრებენ ბრმა თხუნელები. მშვენიერი აზრები იმათთვის უცხოა, მზე არ ახარებს იმათ გულს, საშინელი გაჭირვება ლოდივით აწევთ; სიყვარული და ყურადღება ეჭირვებათ. ისინი დგანან მდუმარე კედლად ჩემსა და თქვენ შორის. მითხარით, რა სიტყვებით შემიძლიან ჩემთან ერთად წარვიტაცო?“

პროტასოვისთვის ეს კითხვა არ არსებობს, არ არსებობს იგი ყველა „მზის ძეთათვის“ მათთვის იგი მნიშვნელობას მოკლებულია. იმათ ჰგონიათ, რომ მხოლოდ „მზის ძეობა“ კმარა ყველა ადამიანისთვის ბედნიერების მისანიჭებლად.

მეორე მზის შვილი, მხატვარი ვაგინი, იმიტომ ამაყად, თავმოწონებით უპასუხებს ლიზას: „ვით ნაპერწკალნი შავ კვამლის ღრუბელში, ისე ჩვენ—მარტონი ვართ ამ ცხოვრებაში, მაგრამ მომავლის მარცვლები ვართ, მომავლის ცეცხლი ვართ. ძმურად ვემსახურებით თავისუფლების, სიმართლის, მშვენიერების ბრწყინვალე ტაძარში იმისთვის, რომ ამაყ არწივებად შეიქმნენ ბრმა თხუნელები.“

ასე ჰფიქრობენ „ძენი მზისანი.“ მაგრამ ისინი დედა-მიწაზედ სცხოვრობენ და დედა-მიწა ასაზდოებს იმათ. უფლება აქვს საზდოს საღირალი მოსთხოვოს და სთხოვს კიდეც. მაშინ ფარდა ეხდება „მზის ძეთა“ სამსახურს; მაშინ ბინდი ეკვრება „თავისუფლებას, სიმართლეს და მშვენიერებას.“

ეგორის ცოლი, რომელიც არა ერთხელ უწამებია ქმარს, ავად გახდა. იფიქრებთ, რომ ეგორს უნდა გაეხარდეს: თავიდან შორდება ადამიანი, რომელთანაც მწუხარების მეტი არა უნახავს რა. მაგრამ არა: იგი დედა-მიწის უბრალო შვილია და უბრალოდ უყვარს ადამიანი, თავისი ცოლი. „ქალბატონო, მოარჩინეთ,“ ეხვეწება ეგორი პროტასოვის ცოლს, ელენეს. ელენე მზად არის ავადმყოფთან წავიდეს, მაგრამ „მზის ძე“ არ უშვებს: „ლენა, ხოლერა რომ იყვეს!“

— მაშ, მოკვდეს? ადვილად ამბობთ; ჩვენ კი ადამიანები არა ვართ?—ყრუდ ეკითხება ეგორი „თავისუფლების, სიმართლის და მშვენიერების“ მსახურს. იმას მაინც არ ესმის გამკიცხველი შეკითხვა ეგორისა და თავისას გაიძახის: „ხუმრობა ხომ არ არის... საშიშია“.

— ვისაც ოხრად ამოსდის სული, იმისთვის განა საშიში არ არის?—კვლავ გაისმა გაპანღურებელი მრისხანე კითხვა ეგორისა. ეგორის ცოლი მოკვდა. სხვა „ბრმა თხუნელებთან“ ერთად ეგორი გამხეცებული თავს ეცემა პროტასოვის ოჯახს, სადაც დაიმალა სოფლის ექიმი, რომელიც ხოლერის გამავრცელებლად იქმნა მიჩნეული, და სურს ამოსწყვიტოს. პროტასოვები გადარჩნენ. „მზის ძეს“ არ ესმის, რად ჩაიდინა ეგორმა საზიზღარი საქმე. თითქოს სამუშაოში კარგ ფასს აძლევდა. მეცნიერი, რომელიც იქადის, რომ გამოჰგლეჯს ბუნებას დაფარულ საიდუმლოებას, სდგას ჩაფიქრებული ადამიანის ცხოვრების სინამდვილის წინაშე და პასუხი ვერ მიუცია. ვერც მისცემს: ის „მზის ძეა“, ადამიანის ცხოვრების სინამდვილე კი დედა-მიწის შვილია...

გორკიმ თავის ლიტერატურული მოღვაწეობა „მზის ძეთა“ ქება-დიდებით დაიწყო. ის იყო რომანტიული ხანა შემოქმედებისა. შავ-ბნელ ცხოვრებისაგან დაღლილი და შეშინებული გორკი ეძებდა შვებას „მზის ძეთა“ სხივებში. ისინი მიაჩნდა ღირსად ადამიანების სახელისა, მათი ცხოვრება—ნამდვილ ადამიანურ ცხოვრებად. განვლო ხანმა. პოეტის დაკვირვება გაღრმავდა, აზრი შემოტრიალდა, გზა იცვალა და კვლავ დაუბრუნდა იმათ, ვინც აღზარდა მაქსიმ გორკი: მშრომელ ხალხს. კვლავ გადიშალა იმის თვალწინ მშრომელ ხალხის „თხუნელური“ ცხოვრება, სიბნელით და მხეცობით მოცული. დაბნელდა „მზის ძეთა“ ელვარე ცხოვრება, რომელიც არსებობს წყვდიადთან მხარდამხარ და წყვდიადს კი ვერა ჰხედავს. პოეტმა დაჰგმო „ამაყი არწივები“, რომელნიც მზისკენ მიფრინავენ და იქ ეძებენ ცხოვრებას. ადამიანის ასპარეზი დედამიწაა. აქ დედა-მიწაზედ უნდა ფრინავდეს „მზის ძე“, თუ სურს მართლა ემსახუროს „თავისუფლებას, სიმართლეს და მშვენიერებას.“

„ადამიანმა ისე უნდა იმოქმედოს, რომ დედამიწაზედ ბოროტება ნაკლები იყვეს“, აი დასკვნა, რომელიც გადაუშალა ნამდვილმა ცხოვრებამ. „მზის ძენიც“ ასე ფიქრობენ, მაგრამ, საკვირველია, არავითარი ღონე არა აქვთ საქმედ გადააქციონ თავიანთი ფიქრი. პროტასოვი, რომელიც დარწმუნებულია, რომ ადამიანი—მეფეა ბუნებისა, არ უკადრისობს მეფის ცემას კალოშებით თვით პირისახეში, ასევე იქცევა მხატვარი ვაგინი, ელენე, თუმცა ეს უფრო ხალხთან დაახლოვებული „ძე მზისა“. რათა ხდება ესა? რატომ არ არის კავშირი „მზის“ და დედამიწის ძეთა შორის?

უკუღმართმა ცხოვრებამ, სოციალურმა პირობებმა დააშორა ერთი-ერთმანერთს, იმდენად დააშორა ერთის ღვიძლისა და ერთის

◆ **მღვდლის განთავისუფლება.** გორის სამაზრო საპყრობილედან განთავისუფლეს მღ. ივ. კასრაძე.

◆ **შეერთება.** „პატარა გაზეთის“ სიტყვით, დაარსებულა შეერთებული კომიტეტი სომხეთა და თათართა სოციალდემოკრატიულ გაზეთისა.

◆ **რევიზია.** რევიზორი კირეევსკი ამჟამად რევიზიას უშვრება სახაზინო პალატას, შემდეგ იგი გაემგზავრება ქუთაისის გუბერნიაში იქაურ სახაზინო პალატის სარევიზიოდ და იქიდან დაბრუნების შემდეგ შეუდგება გადასახადთა ინსპექტორების რევიზიას.

◆ **მძარცველთა პოვნა.** როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ამ ერთი თვის წინად გაძარცვეს აზოვ-დონის ბანკის მეარტელე და წაიღეს 50,000 მან. პოლიციას გაუგია, რომ მძარცველნი ბორჩალოს მაზრის სოფელ გერგერის მცხოვრებნი არიან. გაგზავნილ პოლიციელს სოფელში დაუჩხრეკია სახლები მიკირტიჩ ავეტოვისა, ავეტიქ ზალიევისა და მინას კალაშევისა, ეგულებოდათ თავდამცემნი სტეფანე ბეგლუევი და ლევან ავეტოვი. პოლიციელმა შეიპყრო ავეტოვი. გაჩხრეკის დროს ავეტოვს აღმოაჩნდა რევოლვერი და ბერდანის თოფი 30 პატრონით. ზალიევის ბინაზე უნახავთ 110 პატრონა. ლევან ავეტოვი ტფილისში ჩამოსვლის შემდეგ გამოტეხილა და უთქვამს, თუმცა მეარტელეს გაძარცვაში მონაწილეობა არ მიმიღია, მაგრამ სხვა მხრით მონაწილე ვარ ამ საქმეში, ვიცი, ვინც იყვნენო. იმ დღეს შევხვდი ერთს მძარცველს, სახელად ავეტას, რომლის გვარი არ ვიცი და რომელიც „იალტის“ სასტუმროს მებუფეტედ არის. ავეტამ ერთი დასტა ქაღალდის ფული გადმომცა და მითხრა, წავსულვიყავ სოფელ გერგერში. მართლაც მე, ავეტა და ბეგლუევი სოფელში წავედით. გაჩხრიკეს აგრეთვე „იალტის“ მებუფეტის ჯალოვანის ბინა. იქ უნახავთ თრიალეთის სოფლის სამმართველოდან გამოტანილი ხელმოუწერელი პასპორტი. უნახავთ აგრეთვე ბლანკი 5 წლის პასპორტისა, გამოტანილი ტფ. მოქალაქეთა სამმართველოდან, შტემპელ დაკრული, მაგრამ ხელ-მოუწერელი.

◆ **ბერძენთა საქველმოქმედო საზოგადოება.** 26 თებერვალს მოხდა პირველი კრება ახლად დაარსებულ ბერძენთა საქველმოქმედო საზოგადოებისა. კრებამ აარჩია: გამგეობის თავმჯდომარედ ი. გ. ბასტიანოვი, თავმჯდომარის ამხანაგად ბ-ნი ლიკიარდოპულო, მდივნად პ. მ. კორხანიდი, ხაზინადრად ნ. ვ. არდაზიანი, გამგეობის წევრებად ვ. თ. ხატისოვი, ა. გ. მერკუროვი, ი. გ. ქრისტოფოროვი, ვასილოპულო და ნ. ვ. პოლიტოვი.

◆ ამ დღეებში ხაშურში დატუსაღეს რკინის გზას სამსახურიდან დათხოვნილი მემანქანე სერგეი არუთინოვი. ვითომ არუთინოვს უნდოდა დეპოში მომზადებული ორთქლმავალი უმემანქანოდ გაეშვა წასასვლელად.

◆ გენერალ-გუბერნატორმა არ შეიწყნარა ქალაქის გამგეობის თხოვნა, რომელმაც იგი სთხოვდა გუბერნატორს ნებართვას ერევნის მოედანზე საჯარო ვაჭრობის მოხდენის შესახებ.

◆ ტფ. კონსტ.-დემოკრატიულ პარტიის ბიურომ დაადგინა, დაარსოს განყოფილებანი ქალაქის ყველა უბანში.

◆ ყვირილა. 28 თებერვალს მატარებლის ქვეშ ჩავარდა გალაქტიონ ჯავახია. მატარებელმა ჯავახია შუაზე გადაჭრა.

დარიგება*)

საგლეხო სახელმწიფო ბანკიდან სესხის გატანისა და მამულის შეძენის მსურველთათვის.

იმ მემამულემ, რომელსაც ჰსურს თავისი მამული მიჰყიდოს გლეხთ, უნდა წარმოადგინოს როგორც მყიდველ გლეხთა ზემოდ აღნიშნული საბუთები, ისე თავისი საკუთარი შემდეგი საბუთები:

1) გასაყიდ მიწის გეგმა (პლანი) შემოწმებულის პირით (კოპიოთი). გეგმაში აღნიშნული უნდა იყოს აგარაკის სახელწოდება, მდებარეობა, საზღვრები და ხელმოწერილი უნდა იყოს მიწის მზომელისაგან, რომელმაც მამულის გეგმა შეადგინა. სადავო მამულის ან საეჭვო საზღვრებიან მამულის გაყიდვა არ შეიძლება. თუ მამულში ტყეა, ტყის-მფარველ კომიტეტის მოწმობაც საჭიროა.

2) მფლობელობის საბუთები: ნასყიდობის ან ნაბოძების ქაღალდი, გაყოფის ოქმი და სხვა.

3) საგადასახადო ფურცლები: რამდენია მამულზე სახელმწიფო, საერობო, სათავადაზნაურო და სხვა გადასახადი.

4) მემამულის ხელ-წერილი, რომ მამული იჯარით არ არის გაცემული და არც არავითარი საიჯარო საქმე არ არის შიგ; ხოლო თუ არის, ხელშეკრულობის პირი უნდა წარადგინოს.

5) ვექილობა, თუ მემამულემ გაყიდვა სხვას მიანდო. ვექილობაში შეიძლება იმის აღნიშვნაც, რომ მემამულე გამყიდველს ანდობს ბანკიდან ფულის მიღებას.

თუ გასაყიდი მამული სხვაგანაა დაგირავებული ან რამე კერძო ვალი აწევს, მაშინ მემამულემ უნდა წარმოადგინოს იმ ბანკის ნებართვა მამულის გაყიდვაზე და ცნობები ვალის რაოდენობის შესახებ.

ტყე ცალკე არ დაიფასება, ის მხოლოდ ადიდებს მამულის ფასს.

წარმოდგენილ საბუთების შემოწმების შემდეგ საგლეხო ბანკის განყოფილება გზავნის ერთ-ერთ თავის წევრს ადგილობრივ მამულის დასათვალიერებლად და დასაფასებლად, შემდეგ კი მთელი საქმე წარედგინება საგლეხო ბანკის საბჭოს. როცა სესხის გაცემის ნებართვა მოვა, განყოფილება აცნობებს გამყიდველსაც და მყიდველსაც და სთხოვს შეუდგნენ ნასყიდობის ქაღალდის შედგენას. ამისათვის განყოფილება აძლევს მათ დაწესებულ მოწმობას, რომლის მიხედვით უმცროსი ნოტარიუსი ადგენს ნასყიდობის საბუთს. შემდეგ, როცა საბუთს უფროსი ნოტარიუსიც დაამტკიცებს, ბანკის განყოფილება საბოლოოდ უსწორდება მყიდველსა და გამყიდველს.

რადგან წლის განმავლობაში ცოტა მოხერხებული დროა ადგილების დასათვალიერებლად, ამიტომ საჭიროა დაჩქარება საბუთების წარმოსადგენად იმ ანგარიშით, რომ მოხელემ მიასწროს და მამულები ამ ზაფხულს დააფასოს.

წარმოსადგენ საბუთებზე გერბის მარკები საჭირო არ არის. ნასყიდობის ქაღალდში იხდიან მხოლოდ 1 მ. 25 კაპ., თითო ფურცელში, ნასყიდობის ბაჟისაგან-კი განთავისუფლებულნი არიან.

მოხელე ადგილების დასაფასებლად სახელმწიფო ხარჯით მიდის.

გარდა ამისა, ბანკი აძლევს გლეხთ სესხს იმ მამულებს გირაოთიც, რომელიც გლეხებმა უკვე შეიძინეს საგლეხო ბანკის დახმარებით.

ყველა საბუთების ბლანკებს ბანკის განყოფილება მუქთად აძლევს მსურველთ.

ქუთაისის ამბები

◆ მ. ანანოვის გაძარცვის სურვილმა დიდი უბედურება დაატრიალა აჯამეთსა და მახლობელ სოფლებში. თავ-დასხმის მეორე დღესვე ს. გორაში მოვიდა და დაბინავდა 25 ყაზახი ხოპერის პოლკისა. ეს საკმაო იყო, რომ უმეტესი ნაწილი სოფლისა გახიზნულიყო ძალმომრეობისა და ქალთა გაუპატიურების მოლოდინში. ვინც გახიზვნა ვერ მოასწრო, თავისი ვალი გადაიხადა: მამაკაცებს მათრახი სწვნიეს, ხოლო უმეტეს ნაწილს ქალებისას ნამუსი აჰხადეს. ანანოვის თავ-დასხმაში ეჭვი ჰქონდათ მიტანილი გორის მცხოვრებელ ქართველიშვილზე, რომელიც ოჯახობით ყაზახების მოსვლისათანავე გაიხიზნა. 26 თებერვალს ქართველიშვილის 15 წლის და თავის სახლის დასათვალიერებლად დაბრუნდა. ეს ყაზახებმა შეამჩნიეს და ქალის დაჭერა მოინდომეს. ქალი გაიქცა, ყაზახებმა უკან ტყვია დაადევნეს და წუთი-სოფელს გამოასალმეს ახალ-გაზდა ქალი.

◆ ღვინობისთვის აქეთ ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის თავმჯდომარე მელნიკოვი პეტერბურგშია და ამის გამო ბანკის მთავარი ოპერაცია, სესხის გაცემის საქმე, შეჩერებულია და გამგეობა, როგორც კოლეგია, არ არსებობს. სესხის გაცემა მთავრობის მიერ დანიშნულ თავმჯდომარის ხელ-მოუწერელად აკრძალულია და ამის გამო უთავმჯდომაროდ დარჩენილი გამგეობა სესხის მსურველთ უარს ეუბნება.

◆ ქუთაისის კონსტიტუციონალ-დემოკრატიული პარტია, როგორც სჩანს, სადათას ძილიდან აპირებს გამოფხიზლებას. ამას წინად პარტიის საბჭოს თავმჯდომარეს გუბერნატორი უნახავს და კრების მოწვევის ნებართვა აულია და რადგან ეხლანდელ დროში ყოველიფერი საფთხილოა, სიტყვიერს წერილობითი თხოვნაც დაუყოლებია პარტიის წარმომადგენელს, რომ წერილობითი ნება-რთვა მიიღოს. პარტიის საბჭოს უკვე სხდომა ჰქონია და თუ კრების ნებართვა მიიღეს, მაშინვე კრებას მოიწვევენ მიმდინარე საკითხების განსახილველად.

◆ ქუთაისის ქალაქის გამგეობის წევრი ვ. კანდელაკი, რომელიც იანვრის 15 დაპატიმრებული იყო, განთავისუფლეს სატუსაღოდან. იგი თავის მოვალეობის ასრულებას უკვე შეუდგა. ვ. კანდელაკთან ერთად დაპატიმრებულ სამხედრო უწყების ექიმ ქორქაშვილს, როგორც ამბობენ, გადასახლებას უპირობენ. ზემოდ დასახელებულ პირთ და მათთან ერთად ვ. ქილაძეს და გ. ზდანოვიჩს ისა ჰბრალდებათ თურმე, რომ იმ კომისიაში იღებდნენ მონაწილეობა, რომელსაც ქალაქის დაცვის მოწყობა ჰქონდა დავალებული. მკითხველს უთუოდ ახსოვს, რომ ქალაქის პოლიციის გაფიცვის შემდეგ, მოქალაქენი შეიკრიბნენ და, ბევრის თათბირის შემდეგ, აირჩიეს კომისია, რომელსაც ფული უნდა შეეკრიბა მოქალაქეთა შორის და ქალაქის დაცვის საქმე მოეწყო.

◆ ორ თებერვალს ზუგდიდში დააპატიმრეს ორი მასწავლებელი ქალი: ლიდია შუშანია და არიადნა ჯახთაბერიძე, რომელნიც 4 თებერვალს ქუთაისის საპყრობილეში ჩამოიყვანეს. უკვე ერთი თვე გავიდა და განთავისუფლებაზე არაფერი ისმის.

17 თებერვალს ამავე დაბაში დააპატიმრეს ნინა ლუკავა თავის მოხუც მამით. 23 თებერვალს ორივე ქუთაისის საპყრობილეში ჩამოიყვანეს, ხოლო 1 მარტს ორივე, მოხუცი მამა და მისი ქალი, გაანთავისუფლეს.

პრესსა

მკითხველებს, უეჭველია, ეხსომებათ, რომ ამას წინად ნამესტნიკის სასახლეში თათარ-სომეხთა წარმომადგენლების კრებაზე, რომელსაც ადგილობრივი უმაღლესი ადმინისტრაციაც ესწრება, ა. ი. ხატისოვმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა „სომეხთა სარევოლიუციო პარტიის „დაშნაკცუტუნის“ შესახებ. ხატისოვი ამტკიცებდა, რომ სოციალისტური სარევოლიუციო პარტია „დაშნაკცუტუნი“ რუსეთის მთავრობის მეგობარია, რომ მას ცუდი არაუნდა-რა რუსეთის მთავრობისათვის, რომ იგი წინააღმდეგია კავკასიისა და რუსეთის დაყოფისა, რომ ლეგალური პარტიაა და ძალას მხოლოდ იმათზე ხმარობს, ვინც სომხებს ავიწროვებს და სხ. და სხვ. ხატისოვის სიტყვას შესაფერად აფასებს და ახასიათებს „კავკაზსკი უტრო“-ს მეფელეტონე „ნეზავისიმი“.

> მე ყოველთვის ვამბობდი,—სწერს ზემოხსენებული მეფელეტონე,—რომ ხატისოვი მჭევრმეტყველი ორატორია, მხოლოდ იმ განსხვავებით კი, რომ მისი მჭევრმეტყველება ფუჭია და მსმენელს მალე ავიწყდება. ხატისოვი „დაშნაკცუტუნის“ მოქმედებას შეეხო, რასაც, სამწუხაროდ, პარტიამ ხელი ვერ შეუშალა. აი საუცხოვო ანდამატები იმის სიტყვისა; ხატისოვის სიტყვით, „დაშნაკცუტუნი დაიბადა ოსმალეთში „რუსეთის ორთავიან არწივის მფარველობითა და ბევრ გამოჩენილ რუსის თვალწინ, რომელთა შორის გრ. ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვიც იყო,“ ე. ი. „დაშნაკცუტუნი“ და ნამესტნიკი ძველი მეგობრები ყოფილან. ხატისოვი ამტკიცებს, რომ პარტიას სურს განაგრძოს „რუსეთის დიდებული იდეია მახლობელ აღმოსავლეთში.“ პარტიამ თავისი მოქმედება რუსეთში იმ დროს გადმოიტანა, როცა სომხებს საეკლესიო მამულები და ფული წაართვეს. ხატისოვიც დიდებით იხსენიებს კავკასიის ნამესტნიკს, რომელმაც სომხებს დაუბრუნა ის, რაც „დაშნაკცუტუნს სურდა.“
>
> „ბოროტი კაცები ამბობდნენ,—განაგრძობს ხატისოვი, ვითომ სომხები რუსეთის ჯარის წინააღმდეგნი იყვნენ. ეს ცილის წამებაა! „მჭრელ იყვეს მახვილი რუსეთის ხელმწიფისა!“ სომხებს არას დროს არ გამოუციათ პროკლამაციები რუსეთის მხედრობის წინააღმდეგ (ამას, ალბად, ქართველები სჩადიოდნენ). „დაშნაკცუტუნი რუსეთის საქმეს იცავს კავკასიაში და როცა მოიპოვებიან ამ საქმის მოღალატენი (ვინ არიან ეს მოღალატენი?), მაშინ პარტიაც დაჰყრის ია-

სისხლის შვილნი, რომ ერთი-ერთმანერთის მტრებად გახადა. ერთი-ერთმანერთისა აღარაფერი ესმით. მგრძნობიარე ადამიანი ვერ გაურბის ცხოვრების წინააღმდეგობის საშინელ გავლენას. იგი სძაგრავს იმის გულს და გონებას. უძლური ხიდი გასდოს წინააღმდეგობის უფსკრულის ერთის ნაპირიდან მეორეზედ, ხდება მსხვერპლი თავის უძლურობისა. ასეთი ბედი ეწვია ლიზას, ნახევრად დედამიწის შვილს, და ნახევრად მზისას.

სად არის ხსნა? სად არის ძირითადი მიზეზი „მზის ძეთა“ გულწრფელ სურვილისა გაამშვენიერონ და გააბედნიერონ ცხოვრება, და მათ ნამდვილ საქმეთა შორის წინააღმდეგობისა? სად არის მიზეზი, რომ „დედამიწის ძენი“ ბნელ ცხოვრებას სწყევლიან, მაღლა კი ვერ ასულან, მზის სხივებში ვერ გამობარან.

უკუღმართი სოციალური პირობები და მხოლოდ ეს პირობები. სანამ მეფობს სოციალური უსამართლობა, მანამ არ აივსება უფსკრული, რომელიც კაცობრიობას ორ ბანაკად ჰყოფს: ბედნიერთა და უბედურთა ბანაკად. „მზისა და დედამიწის ძენიც“—უბედურნი არიან, თუმცა გარეგნობით „მზის ძენი“ ბედნიერებად მოსჩანან.

მაქსიმ გორკი არა ჰგმობს იმათ, არა ჰგმობს „დედამიწის ძეებს“, რომელნიც მზად არიან თავიანთ სიბნელით გაანადგურონ დიადი ნაყოფი მეცნიერებისა, ხელოვნებისა, საზოგადოთ, კულტურისა.

შესცვალეთ სოციალური პირობები და დაშორებულნი დაახლოვდებიან და ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებულნი, გასწევენ ბრწყინვალე მზისაკენ, საითკენაც ისწრაფვის ბუნებრივად მთელი კაცობრიობა. **შ. ჩიტაძე.**

სასოფლო-მეურნეობა და კაპიტალისტური განვითარება

(შემდეგი*).

VI. ჰერცის „აგრარული საკითხი“

ამ რიგად, როგორც გამოირკვა, კაუცკისათვის გლეხი იგივე კაპიტალისტია, იგივე მყვლეფავი. ჰერცის აზრით-კი, საგლეხო საკუთრება და კაპიტალისტური საკუთრება არსებითად განსხვავდება ერთი-ერთმანეთისაგან. უკანასკნელმა უნდა მოიტანოს რენტა და მოგება; პირველისთვის კი საკმაოა ხარჯის გასტუმრება და მეურნეობაში მომუშავეთა სამუშაო ქირის გადახდა; ამიტომ გლეხი სრულებით არ არის „მრეწველი“, „კაპიტალისტი“. გლეხის მეურნეობის მოქმედება გამოიხატება ასე: არსებობის სახსარი გარდაიქცევა სამუშაო ძალად და მერე ეს სამუშაო ძალა—არსებობის სახსრად. როდესაც გლეხს ეკონომიური დამოკიდებულება აქვს სხვებთან, იმისი მეურნეობა წარმოადგენს ასეთს ფორმულას: საქონელი—ფული—საქონელი, და არა ფული—საქონელი—ფული (+ ზედმეტი ღირებულება), ე. ი. გლეხი ჰყიდის ერთს საქონელს, რომ იყიდოს მეორე და იქცევა ისე, როგორც კაპიტალისტი, რომელიც ყიდულობს საქონელს იმიტომ, რომ მერე გაჰყიდოს და ფული დაიბრუნოს მოგებით. გლეხი (რასაკვირველია, არა ბურჟუა-გლეხი) უბრალო მუშა ადამიანია, რომელიც საკუთარის შრომით სცხოვრობს და რომლის ცხოვრების კეთილდღეობაც იმნაირივეა, როგორც ჩვეულებრივ მუშის, პროლეტარისა; ხან ცოტა უკეთესია და ხან, უფრო ხშირად, უარესი.

სწორედ ეს განსაკუთრებული ხასიათი მიწის წვრილ საკუთრებისა და წვრილ საგლეხო მეურნეობისა არის იმისი თავდები, რომ სასოფლო მეურნეობა განვითარდება არა კაპიტალისტურის გზით. ძნელია სავსებით იმის წარმოდგენა, თუ როგორი იქნება არა-კაპიტალისტური ევოლუცია. სამეურნეო ცხოვრებაში დღემდის შესწავლილია მხოლოდ კაპიტალისტური განვითარება; არა-კაპიტალისტურ მოვლენებს ყურადღებას არ აქცევდნენ. ეს საკითხი ახალი საკითხია, ბევრი რამ არის შესასწავლი; არა-კაპიტალისტურ ევოლიუციის თეორია ახლა იბადება. აღვნიშნავთ აქ პრინციპიალურ თვისებას არა-კაპიტალისტურ განვითარებისას. მაშინ, როდესაც კაპიტალისტური განვითარება ემორჩილება სტიქიურ კანონებს, იგი შეუგნებელია, არა-კაპიტალისტური განვითარება შეგნებული მოვლენაა: აქ უმთავრესი მნიშვნელობა აქვს შემოქმედებას, ორგანიზაციას, გეგმას. ამიტომ განსაკუთრებით საჭიროა შესწავლა იმ პირობებისა, რომელნიც ხელს უწყობენ, თუ აბრკოლებენ არა-კაპიტალისტურ განვითარებას. საჭიროა, დაახლოვებით მაინც იყოს აღნიშნული ის უმთავრესი ფაზისები, რომლებიც უნდა განვლოს არა-კაპიტალისტურმა ევოლუციამ. ჰერცი ასეთნაირად გვიხასიათებს კოოპერატიულ ფორმების განვითარების ტიპიურ ფაზისებს:

1. პირველ სტატიას წარმოადგენს დროებითი შეთანხმება; წევრები ერთდებიან, რომ ებრძოლონ რომელსამე კერძო მავნებელ მოვლენას, მაგალითად, მოვაჭრე შუამავლის ექსპლოატაციას. ამხანაგობას ძალიან ცოტა ფუნქცია აქვს, ყოველი წევრი სრულიად თავისუფალია; არ არის პასუხის მგებლობა ერთი მეორის მაგიერ; ამხანაგობა არც კი არსებობს, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი ოპერაციებისა; ოპერაციები კეთდება კომისიონერის საშუალებით. შეერთების მიზანი ჯერ საჭირო საქონლის საერთო შეძენაა, მერე წევრები იმასაც ცდილობენ, რომ ერთად გაჰყიდონ თავიანთი ნაწარმოები.

2. თუ საქმე კარგად წავიდა, ამხანაგობა მუდმივ ხასიათს ღებულობს. ძველი კომისიონური საშუალება ისევ რჩება, მაგრამ წევრთა შორის არსდება უფრო მჭიდრო კავშირი, რადგან წევრები პასუხის მგებელნი ხდებიან ერთიმეორისათვის და ამასთან უახლოვდებიან ამხანაგობას, კონტროლს უწევენ იმის საქმეებს.

3. შემდეგი ნაბიჯი არის ის, რომ წევრს ევალება, ესა თუ ის საქონელი საამხანაგო მაღაზიაში იყიდოს და წარუდგინოს ამხანაგობას გასასყიდად განსაზღვრული % თავის ნაწარმოებისა (შემდეგ მთელი ნაწარმოები), რომელიც იმას არა სჭირია მოსახმარებლად. ამით ამხანაგობის არსებობა მტკიცდება და ეძლევა საშუალება, გავლენა იქონიოს წარმოებაზე.

4. ამხანაგობას, რომელიც უკვე დამოუკიდებელი სუბიექტია, აქვს მტკიცე ფუნქციები, რომლის წევრნიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი,—უნდა უზრუნველყოფილ იქმნეს ნაწარმოების გაყიდვის, თუ საქონლის შეძენის მხრივ. თუ იმისი საგანი ნაწარმოების გაყიდვაა, პირდაპირი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს მომხმარებელ ამხანაგობებთან, რომელთაც უნდა იყიდონ ნაწარმოები. მომხმარებელი ამხანაგობანი უერთდებიან ერთმანეთს, რომ ნარდად იყიდონ საქონელი. მეორეს მხრით წარმოების ამხანაგობანიც შეადგენენ ცენტრალურ ამხანაგობებს და კავშირებს, რათა ისარგებლონ მსხვილ წარმოების უპირატესობით: ამის შემწეობით მათ შეუძლიანთ საექსპორტო ვაჭრობასაც მოჰკიდონ ხელი. სხვა და სხვა ქვეყნის კოოპერატიულ კავშირების წარმომადგენელნი იკრიბებიან ერთად საერთაშორისო ურთიერთობის მოსაწყობად.

5. თუ კიდევ კომისიონური წესი არსებობს და ამხანაგობა არ გადაქცეულა დაწესებულებად, რომელსაც დამოუკიდებელი ოპერაციები აქვს, ეს აუცილებელი ხდება კოოპერაციების კავშირებში მონაწილეობის მისაღებად. ცენტრალურ ამხანაგობას არ შეუძლია, საქმე დაიჭიროს ცალკე პირებთან. ცენტრალური ამხანაგობა მოქმედებს ცალკე ამხანაგობათა ორგანიზაციაზე, რომელსაც უფრო მტკიცე, გაერთიანებული ხასიათი ეძლევა.

6. ახალი ხანა იწყება მაშინ, როდესაც ამხანაგობა ჩაერევა წარმოების პროცესში. ეს განსაკუთრებით საჭიროა, როცა ამხანაგობამ დიდძალი ნაწარმოები უნდა ჩააბაროს მომხმარებლებს და როცა თავ-თავის დროზე უნდა იქნას წარმოდგენილი ამხანაგობაში კარგი ხარისხის ნაწარმოები. ამ შემთხვევაში ამხანაგობას უჩნდება ახალი ფუნქცია, მან უნდა გადაარჩიოს წევრების მიერ წარმოდგენილი ნაწარმოები, გააუმჯობესოს, დაანაწილოს ხარისხებად და სხ...

7. მას შემდეგ, რაც წარმოება იყოფა ორ ნაწილად, სახელდობრ—ნაწარმოების საბოლოო დამუშავება გადადის კოოპერაციის ხელში, განვითარება მოითხოვს, რომ ამხანაგობის გავლენას დაემორჩილოს ის ნაწილიც, რომელიც ცალკე წევრების ხელში რჩება. საქმე იწყება იმით, რომ ამხანაგობა გაზეთების, წიგნაკების და საუბრების შემწეობით გააცნობს თავის წევრებს სხვა და სხვა გაუმჯობესობას. შემდეგ ინიშნება სასტიკი კონტროლი წარმოდგენილ ნაწარმოების შესამოწმებლად, ხანდახან არსდება ამისათვის განსაკუთრებული კომისიები. ბოლოს იწყება ამხანაგობის ჩარევა წარმოებაში, ამხანაგობა ადგენს სავალდებულო წესებს ამა თუ იმ ნაწარმოების გასაკეთებლად. ამგვარად თუმცა წევრი სახელით დამოუკიდებელი მწარმოებელია და მესაკუთრე, მაგრამ ნამდვილად იმისი მეურნეობა უფრო და უფრო ემორჩილება კონტროლს და ზედამხედველობას. იგი თავისუფალი და თანასწორ უფლებიანი წევრია, მაგრამ ნაწილია ერთის მთელისა. იგი აფასებს ერთობას და სოლიდარობას, აფასებს მსხვილ წარმოების ღირსებას, ჰკარგავს „საკუთრების ფანატიზმს“ უფრო სავსებით, ვიდრე პროლეტარიზაციის შემწეობით. ხოლო ამასთან უპირატესობად რჩება დამოუკიდებელი ხასიათი, თვით-მოქმედება და ინიციატივა, რასაც მოითხოვს მისგან კოოპერატიული წარმოება.

8. ამის შემდეგ იწყება ის, რომ რამდენიმე ამხანაგობა ერთდება საერთო წარმოებისათვის. ამას შეიძლება მოჰყვეს კოოპერაციების ტრესტის დაარსება. როცა კოოპერატიული განვითარება მიაღწევს ამ ხარისხს, კოოპერაციის ფუნქციები ძალაუნებურად ეხება სახელმწიფოს ფუნქციებს და უკანასკნელისათვის შესაძლებელი ხდება გავლენა იქონიოს კოოპერაციებზე. მაგალითად, თუ კოოპერატიული ორგანიზაცია აწარმოებს პურის ვაჭრობას, სახელმწიფოს თავის ელევატორების შემწეობით შეუძლიან იმოქმედოს ორგანიზაციაზე უფრო სრული გასაზოგადოებრივებისათვის. რასაკვირველია, აქ სახეში უნდა ვიქონიოთ ხალხური, დემოკრატიული სახელმწიფო.

9. ამხანაგობის შინაგან ორგანიზაციის შემდეგის განვითარების მაგალითს გვაძლევს მევენახეთა ზოგიერთი ასოციაცია. ყურძენი მოითხოვს დაუყოვნებლივ დამუშავებას, დამუშავება რთულიც არის, მოითხოვს ფულს, ცოდნას. ამიტომ სადაც კი დაარსდა მევენახეთა ამხანაგობა, ყველაზე უფრო გასაზოგადოებრივებული, მსხვილ წარმოების ხასიათი მიიღო. მთელი წარმოება თავიდან ბოლომდის კონტროლის ქვეშ იმყოფება. ამხანაგობა ზედამხედველობას უწევს ვენახებს, მათ ნიადაგს; ვენახის მოვლა ინდივიდუალურია, რადგან ძნელია მანქანების ხმარება. დამწიფებული ყურძენი იკრიფება ერთსა და იმავე დროს, ყურძენი მიდის ამხანაგობაში, სადაც უნდა შეამოწმოს კომისიამ, რომ განსაზღვრულო ხარისხისაზე ცუდი არ იყოს. მერე ყურძენს თავს ყრიან და ანაწილებენ ხარისხებად. შემდეგი ოპერაციები ამხანაგობის ხელშია სრულიად: ამხანაგობა თვითონ გამოსწურავს ყურძენს, დააყენებს ღვინოს, შეინახავს და გაჰყიდის. ორგანიზაცია ამხანაგობისა დემოკრატიულია. თუ წევრი გაკოტრდა, ამხანაგობა შეიძენს იმის მამულს და იჯარით აძლევს პატრონსავე, სანამ გადაიხდიდეს ამხანაგობის ვალს.

10. საქმის დაგვირგვინება იქნება შეერთება ერთს ადგილას არსებულ ამხანაგობათა, რომელთაც სხვა და სხვა სამეურნეო მიზანი აქვთ.

ასეთია საზოგადო ხასიათი განვითარებისა. შეიძლება, ადგილობრივმა პირობებმა ზოგიერთი ცვლილება შეიტანონ. ყოველ შემთხვევაში ეჭვს გარეშეა, რომ ეს გზა მიგვიყვანს იმ ადგილამდის, სადაც სრული გასაზოგადოებრივება აღარ იქნება ოცნება, არამედ მოახლოვებული და შესაძლებელი სინამდვილე.

(შემდეგი იქნება)

---

*) დასასრული.—იხ. „ცნ. ფურც.“ № 3016.

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 3014.

რაღს. „ჩვენ, სომხებს, სომხების ავტონომია არ გვინდა, ჩვენ კავკასიის დაყოფა არ გვინდაო (ეს ქართველებს უნდათო!)

კმარა! არა, შეუძლებელია, რომ სომხის ხალხს ისეთი წარმომადგენელნი ჰყავდეს, რომელნიც ძლიერთა ამა ქვეყნისათა წინაშე ქედს იხრიდნენ და სარევოლიუციო-სოციალისტური პარტიის აკისრებდნენ საპოლიციო დარაჯების როლს, რომელთაც კავკასიაში რაღაც „რუსის საქმე“ უნდა დაიცვან. ყოვლად ტანჯულ ერის წარმომადგენელი ვერ გაბედავდა და მეზობელ ერებს პოლიტიკურ ღალატს ვერ დააბრალებდა (აი, პროკლამაციებსაც ესენი ბეჭდავენ და ავტონომიაც ამათ უნდათო)... არა! ასეთ ჯამბაზებსა და ყბედებს არავის მოტყუება არ შეუძლიანთ.

საინტერესოა გავიგოთ, რას იტყვის და როგორის თვალით უყურებს „დაშნაკცუტუნის“ პარტია ხატისოვისებურ ჯამბაზებს, რომელნიც „დაშნაკცუტუნის“ პარტიის ქურქში ეხვევიან და პარტიის სახელით მთავრობას არწმუნებენ, რომ „დაშნაკცუტუნი“ ლეგალური პარტიაა და რუსის საქმეს იცავს კავკასიაში.

სასამართლო

შეტაკება გლეხებთან.

25—27 თებერვალს დაბა შულავერში ტფ. ოლქის სასამართლომ გაარჩია ბორჩალოს მაზრის სომეხთა მღვდლის ტერ-არუთინ ერკინკიანცისა და ამავე სოფლის გლეხების საქმე. სულ 19 კაცი იყო სამართალში მიცემული. ამათ ჰბრალდებოდათ წინააღმდეგობის გაწევა პოლიციისა და სასამართლოს ბოქაულებისათვის, როდესაც ესენი სამსახურს ასრულებდნენ. საბრალმდებლო ოქმი ასე გადმოგვცემს ამ საქმეს.

ბორჩალოს მაზრაში თავ. ზაქარია ბარათაშვილს ჰქონია 15,000 დესეტინა მიწა. ყარსის რკინის გზის გაყვანის შემდეგ, ადგილს ფასი დასდებია და ამიტომ ბარათაშვილის მიწები სომხის გლეხობას აუღია იჯარით. საიჯარო პირობას რამდენისამე წლით უდებდნენ. სოფელ ახპატის მცხოვრებნი დიდ-ძალ მიწას იღებდნენ იჯარით და რადგან თითონ არ შეეძლოთ დამუშავება, სხვა სოფლებს აძლევდნენ იჯარითვე. თვით ახპატაში მიწების განაწილების საქმე ხელში ჩაუგდიათ უფრო გავლენიანებს, 10—15 კაცს. ესენი თავიანთვის 60—80 საუკეთესო ადგილს იღებდნენ და მერე სხვას აძლევდნენ. 1901 წლიდან თავ. ბარათაშვილს გადაუწყვეტია, მამულის უფრო რაციონალურ ექსპლოატაციას შესდგომოდა, ამიტომ გლეხებისთვის უცნობებია, რადგან საიჯარო ვადა გათავდა, მითხარით თითოს რამდენი მიწა გეყოფათ, ან სად აირჩევთ საზამთრო ადგილსაო. გლეხები ახალის პირობებით შეჰკვრიან მემამულეს, მაგრამ, ზემოხსენებულ გავლენიან პირების შთაგონებით, პირობა არ შეუსრულებიათ. ამ ნიადაგზე ამტყდარა საჩივარი. 1903 წელს სასამართლოს საქმე მემამულის სასარგებლოდ გადაუწყვეტია. განაჩენით, გლეხებს უნდა გაენთავისუფლებინათ მამული და ამასთან გადაეხდათ 1901 წლის 30 ნოემბრიდან საიჯარო გადასახადები. ამ განაჩენის ასასრულებლად ახპატში ჩასულან ლორის სასამართლოს ბოქაული ნასყიდაშვილი, პოლიციის ბოქაული თავ. ავალიშვილი, 17 სტრაჟნიკი და მემამულის მოურავი ზურაბ აბდუშელიშვილი, რომელმაც შემდეგში დიდი სახელი გაითქვა. ბოქაულებს უნდა საჯარო ვაჭრობით გაეყიდათ გლეხთა საქონელი. როდესაც საქონლისთვის თავი მოუყრიათ და ბოქაული შესდგომია აღწერას, ალავერდის ქარხნიდან მოსულა ახპატელი გრიგოლ ერზინკოვი. შეკრებილა 300 გლეხი, როცა ერზინკოვი დაუნახავთ, როგორც ოქმი გადმოგვცემს, ჩოჩქოლი ატეხილა. თითონ ერზინკოვი მივარდნია აბდუშელიშვილს და ყვირილი დაუწყია. შემდეგ სხვებიც ჩარეულან საქმეში და მღვდელ ტერ-არუთინის და გრიგოლ და მაქრო ერზინკოვების მეთაურობით ბოქაულები გაურეკიათ. გლეხებს სჭერიათ ქვები, ჯოხები, ხანჯლები და თოფები. უსროლიათ თოფებიც. გაქცეულთ მიშველებია ურიადნიკი და ერთი სტრაჟნიკი. ამათ ჯერ ჰაერში დაუცლიათ თოფები, მერე გლეხებისთვის უსროლიათ. მღვდელი და გლეხები წინააღმდეგობისთვის სამართალში მიუციათ. ასე მოგვითხრობს საქმეს საბრალმდებლო ოქმი.

სასამართლოში ბოქაულის თანაშემწეს პაპაიანცს და ზოგიერთ სხვასაც უჩვენებიათ, რომ მოურავი ზურაბ აბდუშელიშვილი ძალიან აწუხებდა ახპატელ გლეხებსაო. სასამართლოს ბოქაულს ნასყიდაშვილს უთქვამს, რომ გლეხებს, წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, დავიდარაბა ასტეხეს თავ. ბარათაშვილის ტყის მცველებმა და ამას მოჰყვა ალიაქოთიო. ზოგიერთ მოწმეებს ფიც ქვეშ ისიც უჩვენებიათ, რომ აბდუშელიშვილმა ერთ მოხუც ქალს ძროხა მოსთხოვა და როცა უარი მიიღო, ესროლა თოფი და ქალი იქვე მოჰკლა; გამოვარდა მისაშველებლად მაზლი, მაგრამ აბდუშელიშვილმა ისიც მოჰკლაო. იმავე აბდუშელიშვილს, მოწმეთა ჩვენებით, მესამე გლეხიც მოუკლავს. ბოქაულ პაპაიანცს უთქვამს, მეც ბევრისაგან გამიგონია ეგაო.

ამ საქმის განხილვამ სამ დღეს გასტანა. 27 თებერვალს გამოცხადდა განაჩენი, რომლითაც უდანაშაულოდ იქმნენ ცნობილი ბრალდებულნი. სასამართლომ ამასთან დაადგინა, აღძრას საქმე ბოქაულ ავალიშვილის პასუხის გებაში მისაცემად უკანონო მოქმედებისათვის, ხოლო აბდუშელიშვილის მიერ ჩადენილ მკვლელობების შესახებ, აცნობოს ბრალმდებელს, რომ საქმე გამოირკვას და აბდუშელიშვილი პასუხის გებაში მისცეს.

რუსეთი

ტუსაღების გაქცევა. მოსკოვის საპყრობილის საავადმყოფოდან გაქცეულა ლესგაფტის კურსების პროფესორი ზაბერეჟნევი. საავადმყოფოდან გამოუყვანიათ ექიმი ლებედევი, რომელიც სახადით იყო ავად; ამ არეულობით უსარგებლია ზაბერეჟნევს და გაქცეულა. ამბობენ, ზაბერეჟნევი გამომძიებლის ტანისამოსში გამოწყობილა და ისე გამოსულა საავადმყოფოდანაო.

მანიფესტის წართმევა. ქ. ნიჟნი-ნოვგოროდში წიგნის მაღაზიების გაჩხრეკის დროს წაუღიათ ერთი ერთი 17 ოქტომბრის მანიფესტისა, როგორც უცენზუროდ გამოცემული.

მუშების მუქარა. ამას წინად მოჰკლეს პუტილოვის ქარხნის დირექტორის თანაშემწე ნაზაროვი. ამ ამბავმა და აგრეთვე უსახელო წერილების მიღებამ უფროსი ხელოსნები ძლიერ დააშინა. წერილებს მათ უადგილოდ დარჩენილი მუშებიც სწერენ. ეხლა ხელოსნები სცდილობენ დაარწმუნონ ყველანი, რომ ქარხნების „გაწმენდაში“ იმათ მონაწილეობა არ მიუღიათ.

ამერიკელი კაპიტალისტები რუსეთში. როგორც უცხოეთის გაზეთები იუწყებიან, ამ ჟამად პეტერბურგში არიან და ფარულად სცხოვრობენ რწმუნებულნი ამერიკელ კაპიტალისტებისა: როკფელლერისა, გულდისა, ფლინტისა და სხვა. ამათ გრ. ვიტესთან მოლაპარაკება აქვთ რკინის გზის ზოგიერთ ლიანდაგების ყიდვის შესახებ.

უშაკოველების პარტიის გაუქმების მიზეზი. გაზ. „ნ. ჟ.“ მიუღია ერთის მუშისაგან წერილი, რომელშიაც იგი აღწერს უშაკოველთა ესე იგი „დამოუკიდებელ სოციალისტთა“ პარტიის მეთაურის ქცევას. იგი თურმე არა თუ არ აძლევდა მუშებს უფლებას კრებას თავმჯდომარედ სხვა ვინმე ამოერჩიათ, პარტიის მოქმედებისა და მუშათა შორის შეკრებილ ფულის ანგარიშის წარმოდგენაზედაც კი უარს აცხადებდა. ამან მუშების მხნე პროტესტი გამოიწვია, რის გამოც უშაკოვმა დასტაცა ხელი ქაღალდებს და მოჰკურცხლა.

ახალი ესკადრის საქმე. მუშათა შორის ხმა დადის, რომ ვლადივოსტოკში იწყება მუშაობა ახალ ესკადრის გემების ასაგებად და მიტომ იქ იწვევენ მუშებს იმავ პირობით, რა პირობებითაც მუშაობდნენ ომის დაწყებამდის, ე. ი. დღეში 4 მანეთად.

მოძრაობა ჯარში. მოსკოვის პოლკის ლეიბგვარდიაში დიდი მოძრაობაა. ბრძანება გამოვიდა, სალდათები ყაზარმებიდან არ გამოუშვან ხოლმე.

ახალი ბრძანება. დონის როსტოვში სახელმწიფო სამსახურში მყოფთ ბრძანება მიუღიათ, უეჭველად ეზიარნენ ამ დიდ მარხვაში.

ტყუილი ხმები. ხმები იმის შესახებ, რომ მოსკოვში შეიარაღებულ აჯანყებას აპირებენო, გაზეთების სიტყვით, საფუძვლს მოკლებული გამოდგა. ამ ხმას ავრცელებენ თურმე პროვოკატორები, რომ გამოიწვიონ საგანგებო დაცვის წესების გაგრძელება.

ხრიკი. გაზ. „რეჩი“ ამბობს თურმე, რომ პირველი აქტი სახელმწიფო სათათბიროს შესახებ მთავრობამ განგებ გამოსცა ისე ბუნდოვანადო.

სპირიდონოვის ქალის საქმე. პეტერბურგიდან მიღებულ ბრძანებისამებრ პროკურორმა გამოიძია სპირიდონოვის ქალის წამების საქმე. სხვათა შორის ჩვენება ჩამოართვეს თვით სპირიდონოვის ქალს. პროკურორის აზრით, სპირიდონოვის ქალს წერილში არავის გვარი არ ჩაუწერია. დანარჩენი კი სულ ისე მომხდარა, როგორც წერილშია აწერილი.

დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

1 მარტი

პეტერბურგი. „ნოვოე ვრემია“ იუწყება, ამ დღეებში გამოცხადდება განკარგულება მიწათ მოწყობის კომისიების შესახებ. ამ კომისიებს მიენდობა ადგილობრივ გამოიკვლიონ ხოლმე მიწის საჭიროება; მათ შეადგენენ მემამულეებისა და გლეხებისაგან არჩეული პირები და აგრეთვე თანამდებობის კაცები. ეს კომისიები საგლეხო ბანკის იმ კომისიების მაგიერი იქნებიან, რომელთა დაარსება გამოიწვია 3 ნოემბერს გამოსულ ბრძანების შემდეგ ბანკის მიმართვამ ერობებისადმი. ამ კომისიებმა ვერ გაამართლეს იმედები მყიდველ-გამყიდველთა შეთანხმება ვერ მოახერხეს, რადგანაც მემამულეები ძლიერ დიდს ფასს თხოულობდნენ. ამ ახალ კომისიებზე-კი ძლიერ დიდს იმედებს ამყარებს მთავრობა; ფიქრობენ, რომ გლეხებს დამშვიდება ეღირსებათ.

„სლოვო“ იუწყება, მთავრობამ ახალი გარეშე სესხი იშოვნა საფრანგეთში იქაურ ბანკირებთან როტშილდის მეთაურობით. ეს სესხი 200 მილიონ მანეთს შეიცავს და იმ პირობითაა მიცემული, რომ ოქრო საფრანგეთში დარჩეს. გარდა ამისა სესხის განაღდება მოხდება 5% 92 კურსით 100-ზე და კიდევ განსაზღვრული პროცენტი უნდა მიეცეს სამსახურის გაწევისათვის.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ცირკულიარი დაუგზავნა პოლონეთის გუბერნატორებს არ დანიშნონ არჩევნები, სანამ მისგან განსაკუთრებულ განკარგულებას არ მიიღებენ ამის შესახებ. სარწმუნო წყაროებიდან ვიგებთ, რომ სახელმწიფო საბჭოს წევრთა ამომრჩევი თავად-აზნაურობა 20 მარტზე გვიან არ უნდა მივიდნენ პეტერბურგს. ასეთია შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულება.

ამბობენ, რომ მომავალი ამნისტია შეეხება არა მარტო პოლიტიკურს, არამედ ყველა ტუსაღებს, სისხლის სამართალში მიცემულთ რუსეთ-იაპონიის ომის დროს ჩადენილ დანაშაულისთვის.

„პეტერბურგსკია ვედომოსტი“-ს სიტყვით რკინის გზათა დეპარტამენტში უკვე გაიგზავნა პროექტი ელექტრონის რკინის გზისა პეტერბურგსა და მოსკოვს შორის. ეს გზა დიდის სისწრაფის უნდა ყოფილიყო და პარალელურად მისდევდა ნიკოლაევსკის რკინის გზას. მაგრამ პროექტი არ მოუწონებიათ დეპარტამენტში.

პეტერბურგი. 1906 წ. პირველ მარტს მომხდარ ტირაჟის დროს 1866 წ. მეორე შინაგან 5%-ან სესხზე მოგება შემდეგ ბილეთებს ხვდა: ორასი ათასი—5181/43; 75,000—16353/37; 40,000—14273/46; 25,000—10896/41; 10,000—10335/13; 6725/45, 5847/90; 8,000—11040/31, 18918/44, 11719/28, 15842/28, 9934/43; 5,000—10216/43, 6831/24, 12138/40, 3128/24, 3505/42, 305/2, 4715/12, 15997/2; 1,000—3776/32, 14791/12, 8482/23, 7580/45, 2648/49, 12008/16, 19688/49, 4230/26, 12508/10, 6925/4, 12332/27, 18774/34, 6911/15, 2664/1, 16497/3, 655/5, 17416/22, 18470/34, 11818/2, 9391/30.

პეტერბურგი. ხმები დადის, რომ რკინის გზის ბატალიონების რიცხვს გააძლიერებენ; განზრახულია რკინის გზის მოსამსახურე პირნი ჩარიცხონ ამ ბატალიონში.

შორეულ აღმოსავლეთის ჯარების უფროსი გადაჭრით აცხადებს უარს უსურიის რკინის გზის გადაცემაზე კერძო ხელში.

ტყუილია ხმები საერთო განათლების მინისტრის ტოლსტოის სამსახურიდან გასვლის შესახებ.

შინაგან საქმეთა სამინისტროში დაყენებულია საკითხი სოფლის პოლიციის გაძლიერებისა და საერობო დარაჯთა რიცხვის მომატების შესახებ. საკითხი შესახებ იმისა, რომ მემამულეებს მიეცეთ ნება იყოლიონ ხოლმე დარაჯები, დასტურით გადაწყდა.

ვლადივოსტოკი. გენ. გროდეკოვის ბრძანებით იაპონელებს აეკრძალათ ჩრდილოეთ მანჯურიის საზღვრებში შესვლა.

ტამბოვი. ტყუილია ცნობა გაზეთისა ვითომც ტამბოვის გუბერნიაში სიმშილი გაჩენილიყოს.

ტამბოვი. გაანთავისუფლეს 50 პოლიტიკური ტუსაღი.

განჯა. განჯის მაზრის უფროსის მიერ მიღებულ ზომების წყალობით ყაზახის მაზრის მცხოვრებთ დაუბრუნეს 100 სული საქონელი, გარეკილი განჯის მაზრიდან; 10,000 მანეთზე მეტი გამოართვეს სადგურებიდან საქონლის დაბარგვისათვის წაართვეს 100 ვინტოვკა.

ლოძი. დღეს ზგერჟის ბევრმა ფაბრიკამ შეაჩერა მუშაობა მუშების გაფიცვის გამო. მუშები სამუშაო ქირის მომატებას თხოულობენ. ფაბრიკანტებმა გადაწყვიტეს არ დაუთმონ მუშებს, რადგანაც ეხლა-ხან მოუმატეს სამუშაო ქირას.

კრემენჩუგი. შეიპყრეს 4 ანარქისტი. უპოვნეს ბომბები, ხელით სასროლი ტყვიის მტყორცნელი და სხვადასხვანაირი იარაღი.

ყაზანი. გასულ წლის ოქტომბერში მომხდარ ჟლეტა-ხოცვისთვის 26 კაცი მისცეს სამართალში.

კიევი. სახელმწიფო ეგზამენები იურისტ-სტუდენტებისა 1 მაისს დაიწყება.

ბელგრადი. შესდგა სამინისტრო: მინისტრ-პრეზიდენტი—გრუიჩი, სამხედრო—ანტონიჩი, გარეშე საქმეებისა—სტოიანოვიჩი, საერთო განათლებისა—კუდლოვი და შინაგან საქმეებისა—ნაგაჩევიჩი,

ბელოსტოკი. ხალხით გაჭედილ ლიპოვი ქუჩაზე რამდენიმე კაცი შევიდა ზილბერბლატის ფულის დასახურდავებელ კანტორაში და ფული მოითხოვა; მათ უარი უთხრეს, ბოროტგამზრახველთ რევოლვერით მოჰკლეს ზილბერბლატი და დასჭრეს მისი ნოქარი.

პეტერბურგი. სამოსამართლო პალატამ სატირულ ჟურნალ „ზრიტელი“-ს რედაქტორ დანკრეტიევს 6 თვის ციხე გადაუწყვიტა რამდენიმე სურათის მოთავსებისთვის და ჟურნალის გამოცემა სამუდამოდ აკრძალა.

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

28 თებერვალი

პეტერბურგი. მინისტრთა კომიტეტმა დაადგინა 1906—1907 წწ. ნორმალური წარმოება შაქრისა 70 მილიონი ფუთი უნდა იყოსო.—3 მარტს პეტერბურგის ოლქის სასამართლოში დანიშნულია გასარჩევად საქმე სტუდენტების დავიდოვისა და ეიზენმერისა, რომელთაც 1905 წ. 9 იანვარს ვასილიევსკი ოსტროვზე ბარიკადების გაკეთება ედებათ ბრალად.

მოსკოვი. საერობო ხარჯთ-აღრიცხვა 2,345,000 მან. შეიცავს.—მუშების დეპუტატთა ამომრჩეველთა არჩევა სათათბიროსთვის მოხდება ქალაქის თავის თავმჯდომარეობით. რადგანაც რკინის გზების მოსამსახურეები მოსკოვში ძლიერ დელავენ, ამიტომ ნიკოლაევსკის გზის ვოკზალს ჯარი იცავს.

პარიზი. შესდგა ახალი კაბინეტი: სარიენი—პრეზიდენტი და იუსტიციის მინისტრი, კლემანსო—შინაგან საქმეთა, ბურჟუა—გარეშე საქმეთა, ეტიენი—სამხედრო, ტომსონი—საზღვაო, ბრიანი-საერთო განათლების, დუმერგი—ვაჭრობის, ბარტუ—საზოგადო საქმეებისა, რუო—მიწათმოქმედებისა, პუანკარე—ფინანსთა და ლეიგი—ახალშენებისა. ახალი მთავრობა ამზადებს დეკლარაციას, რომელშიაც აღნიშნულია, რომ საგარეო პოლიტიკაში ახალი კაბინეტი წინანდელის კაბინეტის გზას დაადგება, განაცხადებს, რომ მომხრე იქნება საფრანგეთ-რუსეთის კავშირისა და ზოგიერთ სახელმწიფოებთან შეკრულ მეგობრობისა, რასაც დიდს მნიშვნელობას აძლევს.

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭომ მოიწონა განმარტება იუსტიციის მინისტრისა იმის შესახებ, რომ თუ უცნობო შვილის დედა იციან, ვინ არის, მაშინ შესაძლებელია ეს ბავშვი დედის სარწმუნოებისამებრ მოინათლოს.—გაზეთის სიტყვით ევროპის რუსეთის 20 გუბერნიისთვის აგრარულ მოძრაობას 31½ მილიონის ზარალი მიუყენებია. გოლუბევის თავმჯდომარეობით გამართულმა საგანგებო კრებამ კი შეუძლებლად სცნო 10 მილიონის ზარალის ნაზღაურებაც კი.

ბელსკი. პოლიციამ აღმოაჩინა 6 ყუმბარა, საფეთქებელი ნივთიერებანი, რევოლვერის პატრონები. დაიჭირეს 6 ებრაელი.

1 მარტი.

პეტერბურგი. საერთო განათლების სამინისტროს განკარგულებით მოხდება თათბირი პირველ-დაწყებით განათლების მოწყობის შესახებ. სამინისტროს უკვე შეუმუშავებია დაწყებით სწავლების პროექტის ძირითადი საძირკველი. სატელეფონო სადგურის გამგეს კუროვსკის 5 თვის ციხე გადაუწყვიტეს უდიდებულესობის შეურაცხყოფისთვის.

ბაქო, 1 მარტი. გუშინ შუშის ქუჩაზე ცხარე სროლა ასტეხა პოლიციასა და ბერდანებით შეიარაღებულ ბრბოს შორის. ამ ბრბომ მოჰკლა ამან მურადი, იგი შესდგებოდა 15 კაცისაგან და ჩასაფრებულიყო ერთს სახლში. ბოქაულმა მარტინოვმა დაიჭირა ერთი მკვლელი, წაართვა ბერდანა, მაგრამ ამხანაგებმა ისევ უკან წაიყვანეს იგი და სროლით გაჰკურცხლეს. დაიჭირეს რამდენიმე კაცი. დანარჩენები მიიმალნენ.—გენ.-გუბერნატორის განკარგულებით ადმინისტრატიულის წესით სამშობლოში იგზავნება 11 კაცი.

პეტერბურგი. ოფიციალური. ხელმწიფემ ბრძანა 27 თებერვალს, ჩარიცხულ იქნან იმ კომისიაში, რომელიც სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებისთვის მასალებს ამზადებს, გენ.-ლეიტენანტი კირეევი, აზნაურები დიმიტრი სამარინი, კიევის უნივერსიტეტის პროფესორი ევგენი ტრუბეცკოი და ნიკოლოზ აქსაკოვი, როგორც მართლმადიდებელ სარწმუნოების ერთგულნი მიმდევარნი და მცოდნე პირნი.

პეტერბურგი. ოფიციალური. მინისტრთა საბჭომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ამ ბოლო დროს ხალხში ვრცელდება ფურცლები ებრაელების საწინააღმდეგო შინაარსისა. საბჭოს ამ ნაირი გარემოება, რომლის მეოხებით მცხოვრებთა ერთი ნაწილი მხედრდება მეორის წინააღმდეგ, შეუძლებლად მიაჩნია და ამიტომ დაადგინა, მისწეროს სათანადო დაწესებულებებს, სასტიკად მოეპყრან ამისთანა საქმეებში დამნაშავეთ და პასუხის გებაში მისცენ ხოლმე ყველანი. შემდეგ განიხილა საბჭოს წევრის მოხსენება გომელში იანვარს მომხდარ არეულობის შესახებ და დაადგინა, პასუხის გებაში იქნან მიცემული თანამდებობის პირნი, რომელთაც განზრახ არავითარი ზომები არ იხმარეს ებრაელების ჟლეტა-ხოცვის შესაჩერებლად.—მინისტრთა საბჭომ დაადგინა, სახელმწიფო საბჭოს წევრების არჩევნები ადრე მოხდეს სათათბიროსაზე, ისე-კი, რომ ამომრჩეველთ არ შეეშალოთ ხელი ორსავე არჩევნებში მონაწილეობის მიღებაში.—იუსტიციის მინისტრმა მინისტრთა კომიტეტს მოხსენება წარუდგინა არჩევნების წესიერად წარმოებისა და თავისუფლების დაცვის შესახებ. ამ წესებით განზრახულია საერთო სასამართლოს წესრიგით აგებინონ პასუხი იმათ, ვინც არჩევნების დროს დანაშაულს ჩაიდენს. ასეთი დანაშაული იქნება, მაგალითად, ამომრჩევლებისთვის თავისუფლების წართმევა, არჩევნების ჩაშლა მუქარითა და ძალდატანებით, წინააღმდეგობის გაწევა არჩევნებისთვისა და ბოიკოტი, მოპარვა საარჩევნო სიებისა, მოქრთამვა არჩევნების დროს, ხმის მიცემას დროს განზრახ ბოროტმოქმედება და სხვ.

პეტერბურგი. „რუს. გოსუდარსტვო“ სწერს, ტყუილია ხმა მინისტრთა კომიტეტის გაუქმების შესახებაო.—გრადონაჩალნიკმა აკრძალა კონ.-დემოკრატების კრება, დანიშნული 28 თებერვლისთვის. კრებას უნდა მოელაპარაკნა მუშებისთვის სასადილოების გამართვის შესახებ.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ზ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

1906 წლის 1 მაისიდან დაიწყებს მოქმედებას ტფილისში **არტელი ინტელიგენტ ქალებისა, რომელნიც მუშაობენ საწერ მანქანებზე და არით[illegible]მეტრებზე.**

ვისაც სურს არტელის წევრებად შევიდეს, სთხოვენ ჩაეწეროს ა. ზ. ბრაილკოს წიგნის მაღაზიაში, გოლოვინის პროსპ., № 10, „კრუჟოკ“-ის ქვემოდ. (3—86—2)

ქართველ მკითხველ რკინის გზით მგზავრების საყურადღებოდ

დაიბეჭდა და ისყიდება სადგურ მიხაილოვის ბილეთის კასაში საინტერესო ახალი თანამედროვე რომანი ორ ნაწილად

ცხოვრება და სიყვარული

წიგნი დიდი ზომისაა, დაწერილია დღევანდელ კითხვებზე, ცოლ-ქმრის კავშირზე და სქესობრივ დამოკიდებულებაზე. დაბეჭდილია სუფთათ, მშვენიერის კანით, მაგრა შეკერილი, შეიცავს 350 გვერდს და ღირს მხოლოდ ორი აბაზი. იქავე ისყიდება სხვა წიგნებიც და აგრეთვე 1905 სრულ წლის გაზეთი „ცნობის ფურცელი“, გაგზავნით, სარჩევით და შინაარსით მხოლოდ 4 მანეთი. მისამარ[illegible] Ст. Михайлово, первому билетному кас[illegible] Чхартишвили. (10—3)

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

აცხადებს, რომ 6 მარტს, 12 საათისთვის, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც გაიცემა არხის გაყვანის საქმე ფეოდოსიევის ქუჩაზე (კოლიური ბალკა).

140 საჟ. ბეტონის მილი 0,33+0,22
25 „ „ „ 0,16+0,10
4 საზვერავი ჭა.

წერილობით განცხადებანი ცალ-ცალკე ფასის აღნიშვნით უნდა წარდგენილ იქნას დაბეჭდილ კონვერტებით 6 მარტისთვის.

ვისაც ვაჭრობა სურს, შეუძლიან პირობები გაისინჯოს გამგეობის სამშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე, 12—2 საათზე. საქმე № 167/01. (3—6.—2)

1906 г. ОТКРЫТА ПОДПИСКА на историческій журналъ 1096 г.

„БЫЛОЕ“

Журналъ будетъ издаваться подъ редакціей В. Я. Яковлева-Богучарскаго и П. Е. Щеголаева, при ближайшемъ участіи В. Л. Бурцева.

Журналъ внѣпартійный и посвященный исторіи освободительнаго движенія въ Россіи. Издаваться онъ будетъ по слѣдующей программѣ:

1) Статьи и изслѣдованія по исторіи освободительнаго движенія въ Россіи.
2) Біографіи дѣятелей движенія, воспоминанія о нихъ, ихъ собственные мемуары, дневники, письма, статьи, стихотворенія и проч.
3) Документы и другіе матеріалы, касающіеся движенія.
4) Отдѣльные факты и эпизоды изъ исторіи движенія.
5) Историческая библіографія.
6) Современная лѣтопись (регистрація главнѣйшихъ фактовъ современнаго движенія.

Въ журналѣ будутъ помѣщаться портреты дѣятелей освободительнаго движенія и рисунки, изображающіе различные эпизоды изъ исторіи движенія.

Въ журналѣ принимаютъ участіе:

М. А. Антоновичъ; кн. А. М. Аргутинскій-Долгоруковъ; М. Ю. Ашенбреннеръ; В. Я. Богучарскій; В. Л. Бурцевъ; И. П. Бѣлоконскій; С. А. Венгеровъ; В. В. Водовозовъ; М. О. Гершензонъ; В. С. Голубовъ; Л. Я. Гуревичъ; Н. С. Джабадари; С. Я. Елпатьевскій; А. И. Иванчинъ-Писаревъ; С. А. Ивановъ; Д. А. Клеменцъ; А. А. Корниловъ; В. Г. Короленко; В. Ф. Костюринъ; Е. Д. Кускова; М. К. Лемке; Г. А. Лопатинъ; О. С. Любатовичъ; Е. А. Ляцкій; В. П. Махновецъ (Акимовъ); П. М. Милюковъ; Н. А. Морозовъ; Н. П. Павловъ-Сильванскій; Л. Ф. Паттелѣвъ; М. Р. Поповъ; А. П. Прибылева Корба; А. С. Пругавинъ; С. Г. Сватиковъ; В. И. Семевскій; А. В. Тырковъ; М. Ф. Фроленко; кн. Д. И. Шаховской; П. Е. Щеголевъ; В. М. Хижняковъ; В. Е. Якушкинъ и проч.

Журналъ будетъ выходить, начиная съ января 1906 года, ежемѣсячно книжками, въ 20 печатныхъ листовъ каждая.

Цѣна съ пересылкой и доставкой: на годъ—8 руб., на ½ года—4 руб., на 3 мѣс. 2 руб.

Подписка принимается въ конторѣ журнала: С.-Петербургъ, Спасскій переулокъ. домъ 5, кв. 1. Книгоиздательство „Донская Рѣчь“.

Адресъ редакціи: Спасская улица, д. 25, кв. 20. Для личныхъ объясненій съ редакторами—ежедневно (кромѣ праздниковъ) отъ 2 до 3 час. дня.

Редакторы { В. Я. Богучарскій.
П. Е. Щеголевъ.

Издатель Н. Е. Парамоновъ.
(З.—5—4)

მსწრაფლმბეჭდავი „წიგნების გამოც. ქართ. ამხ.“-სა. [illegible] დიდი ქუჩ. [illegible] № 372.